

3-47

# პირველი



6



1930

სახელმწიფო

საბავშვო-საგანმანათლებლო სკოლაში

მიმდინარე წლის 20 მარტიდან 20 აპრილამდე ტარდება სრულიად საქართველოს საბავშო პიონერაქტივის გადაჩევა. ეს კამპანია ტარდება არა მარტო ამიერკავკასიის ფარგლებში, არამედ მასში ჩაბმულია მთელი სამკოთა კავშირის პიონერორგანიზაციები.

ამ კამპანიის ამოცანებია გააძლიეროს საბავშო პიონერაქტივის როლი და მნიშვნელობა, აგრეთვე შეგნება დაველწილი სამუშაოს პასუხისმგებლობისა ორგანიზაციის წინაშე.

ამასთან ერთად კამპანიამ უნდა დაგვანახოს, როგორ ეხმარება ჩვენი პიონერაქტივი ბავშვთა ორგანიზაციულად მოწყობის საქმეს ხუთწლიანი გეგმის მთავარი ნაწილების შესასრულებლად, საწარმოო ლაშქრობას ქალაქად და კოლმეურნეობის მშენებლობაში მონაწილეობას სოფლად, როგორ მონაწილეობს პიონერთა მთელი მასა ორგანიზაციის ყველა მთავარ საქმეში.

ამისათვის პიონერთა ჯგუფის და ინდივიდუალურ ჯგუფთა მიერ მუშაობის გამოკვლევის შემდეგ, საბავშო აქტივი თავის მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებს რგოლების და კოლექტივების შეკრებებზე.

გადარჩევაში ჩაბმული არიან პიონერკოლექტივთა საბჭოს თავმჯდომარეები, კოლექტივის საბჭო, რგოლების ხელმძღვანელები, მათი თანაშემწეები და კვლის ვაზეთების სარედაქციო კოლეგია. ახალი აქტივის შემადგენლობაში მეტი უნდა აირჩეს პიონერები—მუშების, მოჯამაჯირეების, უღარბებისა, შინამრეწველთა და კოლმეურნეთა შვილები, მთავარი კი—საუკეთესო პიონერკომკავშირელთა წამოყენება კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარეებად.

საჭიროა კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარეები საქმით იყონ კოლექტივის ხელმძღვანელის თანაშემწეები, არ უციდინდნ ხელმძღვანელის მითითებას და შეეძლოს მორიგი ამოცანების წასოყენება. მხოლოდ მაშინ არ გვეყოლება ხელმძღვანელი გადიები, რომლებიც ყველაფერს „ფიქრობენ და აკეთებენ“ ყველა პიონერის მაგიერად. მაშინ უფრო საინტერესო იქნება კოლექტივში მუშაობა და პიონერები მეტ თვითშემოქმედებას და ინიციატივას გამოიჩენენ.

ლოზუნგი „პიონერები არიან თავისი ორგანიზაციის პატრონები“ ამ კამპანიის დროს უნდა განხორციელდეს რაც საქმით უნდა დაინახოთ; ეს იმას ნიშნავს, რომ პიონერაქტივის როლი საგრძნობლად იზრდება და ახალბედა საჭირო ამ კამპანიის წემდეგ მასწინე მოეწოდება თაბიბთა მთელი რიგი, მოკლევადიანი კურსები, საბავშო აქტივის სემინარები; საჭიროა თითოეულმა აქტივის პიონერმა იცოდეს, რა მორიგი ამოცანები ღდას ორგანიზაციის წინაშე, მთავარი კი ისაა, თუ როგორ შევძლებდეს ეს ამოცანები პრაქტიკულად და როგორ შევძლებდეს ამის ირგვლივ მთელი ბავშობა სოცშეჯიბრის საფუძველზე.

ამ კამპანიაში დიდი, დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კომკავშირელთა და მშობლების მონაწილეობას, რასაცირველა საზოგადოების საუკეთესო მონაწილეობად ჩვენ ველოდებით. ნორჩ პიონერთა თვითეულ კოლექტივთან მუშაობა მიხედვით სეთა რაზმების მოწყობას როგორც ქალაქად, აგრეთვე სოფლად.

წარმოდგენილია კამპანიის კარგად ჩატარება, თუ ფართოდ არ გამოვიყენებთ თვითორტიკას და კოლექტივთა და ცალკეულ პიონერ-აქტივისტთა ნაკლებობას კრიტიკას, რაც უნდა აწარმოონ ბავშვთა ფართო მასებში, რომლებიც ამოუღებენ არიან პიონერ-მომძიარბაში. თვითკრიტიკამ თითოეულ პიონერში პასუხისმგებლობის შეყენება უნდა განავითაროს და თავიდან ააცილოს ცალკეულ შეკლში ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის მუშაობაში.

აშკარად უნდა ითქვას, რომ ბევრია ისეთი პიონერი, რომლებსაც არ უყვარს მათი ნაკლის გამოშკარება და მასზე მითითება, მას კი შეუძლია ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის მუშაობის დიდი შეჩერება, და აღიზრდება ხალხი ძველი ჩულებითა და მისწრაფებით.

აი, რატომ უნდა გამოაშკარავოს ამ კამპანიაში მოლაყებ აქტივისტები, რომლებიც მოწყვეტიან თავისი კოლექტივის ცხოვრებას.

საუკეთესო საბავშო აქტივის ახალი კადრით და ამასთან ერთად ბავშვთა მთელი მასებით საჭიროა პიონერული ფართო ლაშქრობა, რომ კიდევ უფრო დეაჩხროთ წინსვლა ხუთწლიანი დიდი გეგმის შესასრულებლად.

## 8. კოლოხი

### შ ი ნ ბ ა რ ს ი:

|  | გვ.            |  | გვ. |
|--|----------------|--|-----|
| 1. როგორ იპოვნა თუჯამ დაკარგული მამა —         | 83.            | 9. შირვან-ზადე — წერილი . . . . .                                | 15. |
| ბ. ჩხეიძის                                     | 1.             | 10. ბავშვიც იბრძოდნ პარიზს ბარკაძეზე —                           |     |
| 2. აფურხანა — ბ. ჩხეიძის                       | 6.             | პიონერი ვალციხის   | 15. |
| 3. ჩუნი ცოცხალი საქმეში — გაზეთი               | 8.             | 11. კოვთელი — მითხრობა — მ. კეჩუაშვილის                          | 16. |
| 4. საზღვრის გადალახვა — მოთხ. ს. ერთაწმინდელის | 10.            | 12. საბავშო აქტივის გადაჩევა — მ. კოლოხის — გარეკან მე-2 გვერდზე |     |
| 5. საგაზაფხულო თესვა — ლექსი ალ. ბილანიშვილის  | 11.            | 13. ვაჟაფშაველესათ ბავშვთა კვება — მ. კ.ა. გარეკან მე-4 გვერდზე  |     |
| 6. პირველი კომუნა — ლექსი ს. ეულის             | 13.            |  |     |
| 7. რემბელის კვირეული — ლექსი ი. აბაშიძის       | 13.            |  |     |
| 8. როგორ უნდა ვიცხოვროთ სოციალისტურ ქალაქში —  | 6. კრუხსკაიასი |  | 14. |

31 მარტი

№ 6

წელიწადი მეხუთე

1930

# პ ი ო ნ მ რ ი

საქართველოში ბ. კ. ა. ცენტრალური და ტვილისის ბიურ-  
ენის და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური  
აღწერის მთავარმართველების ქურნალი მაგმებისათვის

## როგორ იპოვნა თუჯამ დაპარკული მება

თებერლის სუსხიანი დღეები. მთები დაფარულია თოვლის ზევეებით. სურამის ზევით პატარა სოფელში დაბანაკებულია წითელი არმიის ერთი ნაწილი. ისინი ორი დღეა უშედეგოდ ეძებენ მთაზე გადასასვლელი გზის მკოდენ გამცილებელს, რომ ნინის მხრიდან წამოსულ წითელი ჯარის მეორე ნაწილს კორბოულის პუნქტში შეხვდენ. არა და მთელი რაიონი მენშევიკების გვარდიელებმა დაიჭირეს. იჭერენ მოჯამაგირეებს, მწყემსებს და საშინლად აწამებენ. ნამეტნავად მუშებს ემტერებიან. თუ სადმე დაიჭირეს, აუცილებლად დახვრტენ.

თუჯა ღედას გაოჰავარა და სამხედრო კომისართან მოვიდა.

— თუ გინდათ, მე გადაგიყვანთ მთაზე. სამხედრო კომისარმა ამხანავმა ქორიძემ გულიანად გადაიხარხარა და უთხრა.

— რა გქვია, პატარა ბიჭო, ასე მამაცი რომ ყოფილხარ?

— მე ნამდვილი სახელი ვასილა მქვია, მეტსახელად თუჯა.

— რატომ დაგარქვეს ასე?

— აბა რა ვიცი. ისე, ბიჭებმა თამაშობაში შემარქვეს და ახლა კიდევც მოწონს.

— ხა... ხა... ხა...

გადაიხარხარა სამხედრო კომისარმა ქორიძემ და თანაც დაუმტა:

— შე მართლაც მარჯვე ბიჭი იქნები, თუჯა!

— ძა ქორიძე! მე მგლის რომ არ მშინებოდა, ორი დღის წინად წავედი ბიძისთან მთის ვადლმა. თუჯა სამგზვროდ ემხადებოდა

— მარტო მგლის გეშინა? ნუთუ სხვა ნადირი არ იცის თქვენ მთაში?

— როგორ არა, ძია... მელიაც ბევრია. მას კაცის დაშავება არ შეუძლია. ის მსურნავი მარტო ქათმებთან იჩენს გმობობას, ნამეტნავად კი მამლაყინწებთან. კვერნაც ბევრია, მაგრამ მე სრულიადაც არ მეშინა მისი. ამ ერთი თვის წინად კეტებთ მოგმევეთ. მგლის კი ცოტა მეშინია. ის წყეული სულ კიბობს აღრქიალებს, მეტად შეუბრალებელია. ჩვენ მეზობელ ობლებს მარტო ერთი ძროხა ჰყავდათ და ისიც დაუგლიჯა. იმიტომაც ბიძია ლეშზე ჩაუსადრა და კიდევც მოჰკლა.

— ახ, ნეტავ ერთი თოფის მოხმარება შეძლოს და მერე ნახოს იმ მაწანწალოდ თავისი სერი!

— თუჯამ პატარა მუქი გულში მაგრად ჩაიკრა.

— არხინად იყავი, თუჯა. გაიზრდები, თოვის მოხმარებასაც ისწავლი.

დაამიღა ქორიძემ თუჯა და ხელი თაზე დაუსვა.

— ძია, შენ ხომ არ გეშინია მგლისა?

— თუჯამ ქვევიდან შეხდა ქორიძეს, თითქოს უნდოდა გაეგო, იმასაც ხომ არ ეშინოდა, ქორიძემ კი უფრო ხმა-მალა გადაიხარხარა და მიუგო:

— ეს როგორი კითხვა მოგივიდა, თუჯა. ჩვენ წითელი არმია ვართ. მეფის გენერლების ხროვა, ინგლისის და საფრანგეთის ზარბაზნებით შეიარაღებული, გარს გეხვია და ვერაფერი დაგვაკლო და მგელი რას გვიზამს?

— თუ ეგრე, მე მოვიღივარ. ისეთი მოკლე გზები ვიცი, რომ ხვალ საღამოს კორბოულში გადაგიყვანთ თქვენს ნაწილთან შეგაერთებ დაქე კი ბორისთან დაერჩები.

— მაშ გავიძებ. თუ გინდა, უკან იარე ნაკვალევში. გზას ჩვენ გავაკვლევთ, შენ მხოლოდ გვიჩვენე, საით უნდა წავიდეთ.

— ძია, თქვენ მხოლოდ მგელი მომიგერიეთ და სხვა მე ვიცი. მამაჩემი მუშაა... რკინის გზაზე მემანქანედ. ახლა ისიც წითელ არმიავია. მე კიდევც მიხარია. აი, ჩემი მამიკო დაბრუნდება შენ, მომიყვება, როგორ ებრძოდა მენშევიკების გვრდიელებს, მოუქმენ... მოუქმენ... და მერე მეც მოუყვები, როგორ გადაგყავნეთ ტენეანებების მთაზე.

— თუჯამ უტებ წარბი შეიკრა, შეიბნია სათბური, მასარას დაუძახა და ვანზე სწორებაში დადგა. ხელი ჯარისკაცით საფეთქელთან მიიღო და წამოიყვარა:

— მესმის, ამხანავო. ქორიძე! სანამ არ მიგიყვანთ კორბოულში, ისე მიბრძანეთ, როგორც თქვენს ერთ წითელარმიელს.

— თუჯას ასეთი მოქცევა მეტად მოულოდნელი იყო. წითელარმიელთან ერთად გადაიხარხარეს.

— ქობილად რომ გამოვიდენ, შუადღეს გადაცილებული იყო. მოდიოდა ხშირი ფანტელა მშრალი თოვლი და ქარი ატრიალებდა.

— სოფელში თუჯას მეტს ყველას ეშინოდა გარეთ გამოსვლის. მინდობზე ქუხდა ზარბაზნები და ტყვიამფრქვევლის ხმა კაცანებით მოდიოდა.

— ავრ გადაიარეს მენშევიკებს სვრდილებმა. სოფელში მოავრობეს მოჯამაგირეები, ჯერამულას პირზე გაიყვანეს და დახვრტეს. ერთი მოჯამაგირე თუჯას კარგი მეგობარი იყო. ზამთარში მარხილებზე დაისვენდა

თუჯას და მთელი დღე აცურავებდა. ზაფხულში კიდევ, კულაის კამეჩებს რომ მტკვარში საბანაოდ წაიყვანდა, თუჯას რქებში ჩასვამდა და ისე აბანებდა. თუჯას მამამ იმ მოჯამგირის წერა-კითხვა ასწავლა. გვიარდილებმა ახლა მას ბოლშევიკობა დასწამეს და მოჰკლეს. თუჯას უნდოდა სამაგიერო გადაეხადა საყვარელი მეგობრის მოკვლისათვის, მხოლოდ დედამ გარეთ არ გამოუშვა, ბაბუა კი ვაჟსავარდა.

თუჯას ბევრი კიდევ სხვა ამბავი გაახსენდა, მაგრამ ფიჭრის დრო სრულიადაც არ იყო. საღამო მოახლოვდა, მისი გზა კი გადალდა. დაიწყო ხელუხლებელი წიფლარის ტყვრები. შორიდან მოისმის მგლის ყმუილი. შეშინებული ბასარა წითელარმიელების ახლოს გულუზვიად აღჰყვას, შორის წასვლის კი ვერ ბედავს, პირდაპირ მიძუნძულეს, ასე ჰგონია, თუჯა ბიძისთან მიდის ლდორაში. რამდენჯერ გადაუბრუნია თავის საყვარელ პატრონ თუჯასთან ერთად ამ მივებზე. მხოლოდ ზაფხულში, როდესაც ყოველ ბუჩქში კინკრაქა ძვრება, კრუხი შაშვი ქახქახებს, ქორი სტვენს, წიფობელა საამუერი კრუტუნით მარწყვს დასტრიალებს, ნული სიო დანავარდობს, ასწლოვანი წიფლის ტოტები კი გუგუუნებენ. ახლა კი თოვლია, ზვავი და უშველელები. ქუორი აღარ იხედება. მარმალილოს ქანდაკებას ვით ღვინა წიფლის თეთრი სვეტები.

- ძია, შეილები თქვენცა გაყავთ?
- დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ შეეკითხა თუჯა სულგანანულ ქორიძეს.
- როგორ არა. ერთი შენოდენაა.
- მაშ იმასაც შეუძლია თოვლის კვლევა.
- ალბათ. შენსავით მარჯვეა. აი, ბრძოლის მოგრჩებთ, შენი მამაც შენ დაბრუნდება. მე ისევ ჩემ ქარბანაში ვიმუშავებ, მეურ წერილს მოგწერ.

— მეც მოგწერ, ძია. ერთი წელიწადი იქნება წავალ და უკვე მამის მივწერე წერილი.

— აი გითხარი, რომ მარჯვე ხარ!

— მეჩე სურამში ჩამოვალთ საავარკოდ, შეილებს გავაცნობ და მეგობრები იყავით.

— თუ ჩემი მეგობრობა უნდა თქვენ შეილს, ჩემსავით კარგი ბურთაობა უნდა იცოდეს. „გადადენიანა“ ჩემს ტოლებს ვეჯობებ.

ლაპარაკსა და თოვლის ბრძოლაში თუჯა შეუშინებულად დაღლილიყო. თავის უნებურად თოვლში ჩაიკეცა.

— ჰეი, ვანია! მოდი, აყვლე თოვლი!—დიძახა ქორიძემ.

— ძია ქორიძე, ნუ უძახი ვანიას, ისევ მე ვაყვებ. ეხვეწებოდა თუჯა.

— ჩუმად! შენ ახლა წითელარმიელი ხარ, ჩემს ბრძანებას უნდა დემორჩილო,—დამაჯერებლად მიუყო ქორიძემ, რომ თუჯას ხეყწა არ გაემეორებინა.

— მესმის!..

დაიძახა თუჯამ და უკან გაღმოდგა, ვანია კი ვზას ვერ იკლევდა. ორჯერ გადაუხვია და ფეხები ქუორში გაებლანდა.

— ძია! ვანია პირდაპირ ბასარას კვალს მიჰყვება და ფეხი აღარ ჩაუვარდება. ბასარა პირდაპირ მაგარი ვხით მიძუნძულეს.

წითელარმიელები მიდიოდნ. თოვლი კი თითო წუთში თითო მტკაველს უმატებდა. სიჩუმე ისევ თუჯამ დაარკობდა.

— ძია! მე როგორ-ღა გავაცნო ჩემი მამა? ჩემი მამიკო ღიდი ხანია წაიდა.



სოლნლის რაიონის კოლექტივის ხელმძღვანელთა გადასამუშავებელი ჯურების სსმენელები

ნეტავ კი ვნახავდემ. დედაც სულ წყუხს. ცოტას მაშინ გავიხარებთ ხოლმე, როცა წერილი მოგვდის. მასაც ძალიან ავგიანებს.

— შენ მარჯვედ იყავი, თუჯა, მამას სულ მალე ნახავ, სულ მალე დაბრუნდება.

## III

ქორიძემ თუჯა აიძუდა, მაგრამ თვითონ კი ძალზე ამოიხენება. მოაგონდა თავისი ოთხი წერილი ბავშვი. რაი ომშია, ერთხელაც არ დაფიქრებულა მათზე. ოთხი წელია, რაც მარტო წერილებით იცის ამბავი. მასაც მოსდის თავისი შეიღების პატარა ხელებით დაბლაჯნილი წერილები. ერთხელ სურათიც მოუყვიადა. როდესაც მარტო რჩება, აპოილებს, გულში ჩაიკრავს საყვარელ სურათს მაგრამ შინ კი ვერ მიდის. აგერ მენშევიკების გვარდიელურმა გულმანაც ვადასწევს სოფელი. დაგაროვებს მუშები, მოჯამაგირეები, დაქვრივი წითელარმიელები და დახვრიტებს. ზოგს კიდევ ხმლებით გაუჩეხებს თალები და გარეთ ტურების შესაქმელად დაჰყარავს. გლეხებს დაძარბვის ნებაც არ მისცეს. ასე ხომ არ შეიძლება წყევული გვარდიელების გაშვება. რამდენ მისი შვალეუბასთანაა აატრიტებენ.

ასე ფიქრობდა ქორიძე და თავს თავს ფიცს აძლევდა, რომ სანამ გვარდიელებს მთლად არ დაამარცხებდნენ, ის შეიღების სანახავად შეგებულებასაც კი არ აიღებდა.

— შენ როდის-ღა წახვალ, ძია, შინ?—ქორიძის სიჩუმით გაკვირებული შეეკითხა თუჯა.

— შე შინ მანამდე არ წახვალ, სანამ ბოროტი ადამიანები მუშებსა და მოჯამაგირე გლეხებს ჰკლავდნენ, მათ ცოლშვილს კი შიმშილ-სიცივით სიცოცხლეს ამწარებენ.

— მაშ წითელი არმია მოჯამაგირეების და მუშების დამცველია?

ამ კითხვაზე ქორიძემ კიდევ გადაიხარბარა.

— მაშ ვინ იქნება. ჩვენ თვითონ მუშები ვართ, გლეხები და მოჯამაგირეები. აკი მამაშენიც მუშაა და წითელ არმიასიც იბრძვის!

— მერე და როლზე გამოემყიდა ჯოხით ჩვენი მელუქნე? აკი ასე ვუთხარი მეც მის ღუქანთან მოგროვილ გლეხებს?

— ის გვარდიელები სწორედ იმ ვაჭრის დამცველები არიან, — მიუგო ქორიძემ.

თუჯამ თოვს გადააქანა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— აკი იმისთვის გვემტრებდა ის წყევული!

შუა ტერეში შევიდნენ. მგლების შიში სრულებით დაეკარგა.

ახლა კიდევაც უხაროდა, რომ ამ საშინელი ნადირის ყმითი ასე ახლო ესმოდა და მას კიდევ სრულიადაც არ ეშინოდა.

მარტო ზევაი თოვლი აჭირვებდა საქმეს. წითელარმიელები დაილაღნენ. ქარმა გამოურია სველი თოვა და წყალმა ბეჭებში გაატანა.

შუალამისას ტყეს აცილდნენ, გადავიდნენ ტრიალ მინდორზე ტენფანების სათიბეში, ქერისა და კარტოფლის ყანებში. გამოიწნა ბოსტენი. ზაფხულობით იქ ძროხები უდგამთ და მწყემსები შიგ ცხოვრობენ, ახლა კი ყველანი ბარში წასულან საზამთროდ. ამიტომაც კვამლი აღარსად არ ამოიღის. წითელარმიელები ფეხებს ბიჯებში ხელით ეხმარებოდნენ, ისე დაილაღნენ. ათეულობით ჩამორიგდნენ ბოსტენში. გაოფლალ მემორებს შესცივ-



საბავშვო ბაღის სასარგებლოდ

დათ, კბილებს არაკუნებენ და ძილი არავის არ მოსდის-სოფლამდე ჯერ კიდევ ათეული კილომეტრია. თუ გინ. დათ ახლოსაც რომ იყოს, ასეთ ზევაში სიარული ქარბუქში დალუპვასა ნიშნავს. ასანთი ყველია დალბობია და არ ეკიდება.

## IV

თუჯა ზეზე წამოხტა.

— ძია ქორიძე, ცეცხლი არ დავანთოთ?

— ჩვენ მარტო თოვლი და წყალი გვაქვს, — მიუგო ქორიძემ და ფარაჯა უღროს შემოიხიზა.

— შენ დარღვი ნუ გავქვს. მხოლოდ პატარა ფოლადის ნაჭერი მიშოვით, — დამშვიდებით მიუგო თუჯამ.

— ჩვენი იარაღი სულ ფოლადია, მაგრამ კვეხად არცერთი არ გამოვდგება.

ამ პასუხმა თუჯა ძლიან დააფიქრა. ქორიძე მართალი იყო. ფოლადი თუნც რომ ეშოვათ, ტალისთვის კვესი არ იყო. იმედს მაინც არ კარგავდა. კედლის ქდებებს შეჰყავ, სარტყლებში ხელებს აფათურებდა და უტებ დაიყვარა:

— ცეცხლი დავანთოთ!.. დავანთოთ ცეცხლი!

— მერე როგორ?!

ქორიძე ზეზე წამოიჭრა. თუჯა ზევიდან მოოცავდა. ხელში მოხარული ამედის ნაჭერი ეჭირა.

— ძია! ამოიღე რევოლვერი, აი, ნაჭერს ესროლე და ცეცხლი გვექნება. ლულა ახლოს მიიტანე. ისე, რომ არცერთი ნაჭერწყალი არ დაეკარგოს.

რევოლვერი გვარდა. ამედის ნაჭერიდან ავარდა საამური სუნნი. ცოტა ხნის შემდეგ გამოიწნა ცეცხლი, რო-

მელიც ნელა ფართოვდებოდა. ქოხებში ყველგან გააჩაღეს გუზგუზა ცეცხლი. წითელარმიელები თბებოდნენ. ფარაჯები და ფეხსახვევები შრებოდა. აღიოდა ოხზივარი ოფლის სუნით. თუჯა ხარობდა. აგერ შემოსდგეს ბაქები, და ჩაი გაჩაღდა.

— ამხანაგო ქორიძე, რატომ საკმელს არ ატანთ ჩაის?

— ჩვენ ერთი ნაპერი პურიც არა გვაქვს.

— კარტოფილი რომ გიშოვნით, როგორი იქნება? — უთხრა თუჯამ და ისე ამყაიდ გადახედა წითელარმიელებს, თითქოს ეს არის კარტოფილები ჯიბეში აქვს, ჩაიყოფს ხელს და ამოალაგებსო.

— აბა სად არის?!

თუჯა ზეზე წამოხტა, ბოსლის ყველა კუთხეს ფეხით სინჯავ დაუწყო, თანაც ამბობდა.

— ჩვენ რომ ახლა სოფელში მივალოთ, იქაური გლეხები ამ მთაში კარტოფილს სთესავენ. აქვე ბოსელში ინახავენ ორმოში. გახაფხულზე სურამში გადააქეთ და პყილიან.

აი, კიდევაც მივაგენი.

მან გადმოსწია დაფარებული ნამჯა, და გამოჩნდა კარტოფილი. არმიელები ერთად მოგროვდნენ. ყველას მადას უშლიდა ეს საწუთკარი საკმელი, მაგრამ აბა ვინ ახლებდა ხელს. ქორიძე კიდევ ლაპარაკობდა:

— ამხანაგებო, არ შეიძლება ხელის მოკიდება. რას იფიქრებთ გლეხები? გადმოიარა წითელმა არმიამ და კარტოფილი შეგვიტანაო!

— სწორია!! სწორია!!! შიმშილითაც რომ დაივიწყოთ, ხელსაც არ ვახლებთ, — დაემოწმენ იქით-აქედან არმიელები და პირის წლაპუნით უკან გაბრუნდნენ და თანაც ამბობდნენ:

— ვაა... რა კარტოფილია მერე, ორი რომ შესკამო, ვაქაცას დააპურებს.

— კარტოფილის პატრონს მე ვიცნობ. მაშაგემის სახელით ეგრეც და კიდევაც ვაგებდებო. თუ ფულს არ დიგვეჯერდებიან, ფარაჯები მივიკეთ, — ცხარობდა თუჯა.

— რომ ეწყინოსთ?.. რომ ეწყინოსთ?..

კარტოფილის ხელის მოკიდება არავის უნდოდა. მაგრამ შიმშილი უფრო ღონიერი აღმოჩნდა. არმიელებმა ქვაბუნები აავსეს და ცეცხლზე შემოაკიდეს. ორზოს საიმედოდ დააყარეს მიწა. თუჯამ ახლა საღდაც დირბზე შემოდებოდა ქვაპარილიც აღმოაჩინა. კარტოფილი მოიხარა. არმიელებმა ჩქარა უტყვიდნენ და ცხელი პირს იწვამდნენ. დალილი თუჯაც მადიანად შეექცეოდა, თანაც სასის წვით ელაპარაკებოდა ქორიძეს:

— ძია... ფა... რიიიძე... იქნება ჩემი მათამიკაც კარტოფილს სკამს ახლა.

— მართლა და, რა ჰქვია, ბიჭო, მაშაშენს?

შეგკითხა ქორიძე და თითქოს თუჯას თვალებში და სახეში აღმოაჩინა ვიღაც სამხედრო კომისრის მსგავსება.

— ჩემი მამა მოსამეა, სახელად ილია ჰქვია.

ქორიძე გაშეშდა. ნუთუ... ის... იყო...

V.

ლამე მოიწმინდა. თოკლი გაჰყინა. ჯანმოკრეფილი წითელარმიელები მოყინულზე მიდიოდნენ. თოკლი ფეხს არ იჭერდა. აი, გადაადგენ კიდევაც გორაკს, სოფელი ახლოა. ხელისგულივით მოჩანს სახლები. გაღმა მხრიდან



ქრის პაცანა-პიონერი ტრამევის სახელოსნოში მუშაობის დროს

სროლა მოისმა. ქორიძემ ღურბინდში გახედა. მეორე მხრიდან წამოსული წითელი არმიის ნაწილი ესროდა სოფლიდან გაქცეულ გვარდიელებს.

მთვრალი გვარდიელები სოფლის ბოლოში არეულ-დარეულად გარბოდნენ. ქორიძემ ორი მხვერაგი გაგზავნა, სხვები კი ჩაესაფრენ.

— ამხანაგო ქორიძე! ესენი ვინლან?

თუჯამ ხელი ტყის პირისკენ გაიშვირა. იქიდან მოჩანდა შეეგუფებული ხალხი. თქმებზე ეტყობოდათ, რომ გვარდიელები იყვნენ. ვიღაცებს ხელ-ფეხს უბორაკედნენ და რიგზე აწყობდნენ.

— ეს ძალიან საინტერესოა, — ჩაილაპარაკა ქორიძემ, ორი ოცული გამოჰყო და წინ გადავიდა. თუჯაც ფეხ-ღვეხს მისდევდა.

— ამხანაგო ქორიძე, ეს გვარდიელებია! ამ გლეხებს რალს უტოკეცე ხელებს? — ხმის კანკალით ეკითხებოდა თუჯა და თანაც იჩქაროდა. ქორიძე კი ხმას აღარავის სცემდა. ბოლოს, თითქოს ცეცხლი მოეკიდა, თავში ხელი შემოიკრა და სთქვა:

— მუშებს და გლეხებს ზვრეტავენ ეგ წყეულები. თუჯა: შენ თოვლი ჩატკენე, ჩაწეკე და ზევით არ ამოიხედო.

— მესმის! — იყო პასუხი და თუჯა ჩაწეკა. მაგრამ აბა რა მოასვენებთ თუჯას. ნელ-ნელა თავი ამოჰყო თოვლიდან. აი, ქორიძეს ოცეულები მიუხაზოდნენ ტყეს. ჩაესაფრენ. იმ გვარდიელებმა ხელ-ფეხშეკრულები გაამწკრივეს. აი, აღეს კიდევაც ხელში თოვები, გამოუმჩინეს. ოლარონმა მღვდელმა ხელი წვერებზე დაისვა და ჯვარი პირთან მიუტანა. გლეხებმა კი ჯვარს და მღვდელს შეაფურთხეს. მღვდელი განზე გადავა. აი, კიდევაც უნდა ესროლონ.

ქორიძეს რკინასავით ხმამ იქვეა:

— შესდევით!

გვარდიელები შეშინდნენ. თავის ზურგს უკან დაინახეს წითელი არმიის ნაწილი, სასროლად მომზადებული. იარაღი ხელი ვაუშვეს და გასაქცევად მოემზადნენ.

— ფეხი არ დასძრათ!— კვლავ დაუყვირა ქორიძემ. გვარდიელები გაჩერდნენ და პატიებას ითხოვედნენ. დასახერხებლად გამზადილი გლახები იმ სოფლის მო-

ჯამავიერე და მწყემსები აღმოჩნდნენ. მათ გვარდიელებს სიმინდი და თივა არ მისცეს. ჯერ იმიტომ, რომ არა ჰქონდათ და მერტყე— გვალმა მხრიდან წითელი არმიის ნაწილები მოდიოდნენ და მათთან გაქცევა დააპირეს. გულმოსულ მთვრალ გვარდიელებს დახვრეტა უნდოდათ. კიდეც რომ ერთ წამს დაეგვიანებიათ თუჯას და ქორიძეს, დიდი საცოდაობა მოხდებოდა.

გაღარჩენილმა გლეხებმა კეტები მოსძებნეს და გვარდიელებს სულ თავპირი დაამტვრიეს. ქორიძე მათ ამშვიდებდა, სულ ასე უყვიროდა:

— მოიცადეთ, ამხანაგებო, მაგათ მერე ვაფუსწორებთ.

ნაწილიდან ორი თოფიანი მარჯვე ბიჭი გამოარჩია და ტუსალები ვადასცა.

— თქვენში რომელია გიორგი ტეფნაძე?

— მე, ამხანაგო.

მოჯამავიერე წინ წამოადგა.

— ამ ბიჭს იცნობ?

ქორიძემ ხელი თუჯაზე მიუშვირა.

— ვიცნობ! ჩვენი ილას შვილია, მოსაძის.

— მაშ წუხელის თქვენ ქიხში გავათენეთ მთახეძალიან გვშიოდა. თქვენ დაუყოთხავად კარტოფილი ეჭამეთ. ფული რამდენიც გინდათ მაიღეთ, თუ არა და მიხელები იხებეთ. ძალიან გვშიოდა, თორემ კარტოფილს არ შევჭამდიოთ.

— ალალი იყოს, დედის რძესავით შეგერგვოსო. ჩვენ სახლში პურიც გვაქვს, გამოვაცხოთ და სამგზავროდ წაიღეთ. მოჯამავიერეები და ღარიბები ბოლშევიკების მომხრეები ვართ.

— ბოლშევიკები წითლებია!— ოჩიხთ და ყყოჩოით წამოიძახა თუჯამ და შუაში ჩამოვდა.

— ახლა კი წინა— დაიძახა ქორიძემ.

ნაწილი დაიძრა. აი, მიატანეს მღინარის პირს. თუჯა მიდის და ფექრობს.

ნეტა ახლა მამა მიყენა თუჯას. არა... არა... აი, ვათავდა ომი. მამა დაბრუნდა, ისევ დღომზე. მუშაობს. ერთხელ დალოლი შინ მივიდა. ისაიღო, ვაზეთიც წაიკეთხა. დაიპაძა. აი, მოჰყვა თავის ვადახდოდ ბრძოლას. არც თუჯა ჩამორჩება მამას. ოხ, როგორ გაახვიდნენ თუჯა ცეცხლის დანთების ამბავს, კარტოფილის აღმოჩენას, მწყემსების და მოჯამავიერეების ვადაჩენას.

ჩაფურქებული მარჯველ მიზაიჯებდა. მას უკან მისდევდა მთელი ნაწილი.

— შესდევით!

— პაროლი...

— მუჟკა...

— ჩვენებია!— დაიძახეს იქიდან.

— აა, ამხანაგ ილიას ვაფმარჯოს!— მიესალმა ქორიძე.

— აა... ამხანაგ ქორიძეს ვაფმარჯოს!

სამხედრო კომისრები ერთიმეორეს ვადახვებენ.

— ამხანაგო ილია, ჩვენ ერთი წითელარმიელი გვეყავს, არ გინდათ ვაჩვენოთ?

— ვინ არის?

— აი ეს ყმაწვილი.

ქორიძემ ხელში აიყვანა თუჯა. ის ხელებს და ფეხებს იქნევდა, საშინლად აყვიროდა. ბოლოს ხელიდან გაუსხლტა, უცნობი სამხედრო კომისრის წინ დადგა. უცნობ კომისარს მახარა ეცვა. ბუდონის ქული ეხურა. შავი თვალწარბი მებზეთი იფურებოდა. მაგრამ აი ამ მებზეთი შემობარს თვალეში ცრემლებით აფესო.

— მამიკო!— იყვირა თუჯამ და ფოცხვერით გულზე შეახტა.

მამა და შვილი დიდხანს კონცინდნენ ერთმანეთს. წითელარმიელები ძალიან ვააკვირა ამ შეხვედრამ.

— ამხანაგო მოსაძე, მომილოცავს ვამარჯვება. შენც კარგი მეომარი ხარ და შვილიც კარგი ბიჭი გყოლია.

კომისრებმა მეროდ ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს. ოუკები ვაშალეს და თითს აყოლებდნენ ხაზებს.

— ამხანაგო ქორიძე! შენ ამ გზით წახვალ, მთას რომ მიუღდეს. მე გვარდიელებს ფეხდაფეხ ვამოფუდებები. საღამოს თავი კობთოულზე მოვიყაროთ.

ნაწილები ერთიმეორეს დასცილდნენ და გაულდნენ თავ-თავის გზას.

ბორის ჩხვიძე



5. კრუპსკაის სახელობის გორის ნ/ა კოლექტივი

# აგურხანა

— იცი, იქ რას აკეთებენ? — ეკითხება ვაკეზე სა-  
თამაშოდ გამოსული პიონერი თავის ამხანაგს და თითს  
აგურხანის მილისკენ იშვრის.

- ვიცი...
- რას აკეთებენ?
- რას აკეთებენ და...
- არ ცოდნია!

სიცილო-ხარხარა ჩამოიარა რაზმის რიგებში.  
— შენ იცი რას აკეთებენ, სხვას რომ ეკითხები?  
ჩერია საუბარში რაზმის ხელმძღვანელი.

- როგორ არ ვიცი, ხელმძღვანელო; აგურსა  
სჭრიან...

— აგური როგორ იჭრება? — დარცხენით იკითხა  
ერთმა და სხვებს გადახედა.

- არ იცი? ვაი, შენ არაფერი არ გცოდნია...
- შენ ბერი იცი, აი...

— რატომაც არ ვიცი. მამაჩემი მეთაურე იყო სო-  
ფელში და როცა სოფელში ვსწავლობდი, მამაჩემს  
ვეხმარებოდი კიდევ აგურის მოჭრაში... გამოწვავიცი  
ვშველოდი ხოლმე...

- მაშ გვიმე, ბესოჯან, როგორ სჭრიან აგურებს...
- გვიამბე, ბესიკო, გვიამბე...
- ბიჭებო! — წამოიძახა უცებ ვლიკომ.
- რა ვინდა?

— ბესიკომ გვიამბოს რა... ის არა სჯობია, ბაქემ  
წავიდეთ აგურხანაში და ადგილობრივ დავათვლიეროთ,  
თუ როგორ ამზადებენ აგურს...

- სჯობია, მაშა! — დემოწმენ ამხანაგები.
- ხელმძღვანელო! წავიყვანე აგურხანაში.

პიონერრაზმა პირი ხელმძღვანელისკენ მოიბრუნა  
და პასუსხ დაელოდა...

— წავიდეთ! — განაცხადა ხელმძღვანელმა მცირე  
მოფიქრების შემდეგ...

- რაზმი გამწვირდა როგვი.
- ნაბიჯით იარ! — გასცა განკარგულება ხელმძღვანე-  
ლმა. და რაზმი გაიშალა მიწოდორზე.

ჯერ კიდევ დაუსახლებელია ვაკეს მიდამოები. რამ-  
დენიმე წლის წინ მთელ ამ უბანში დარაჯივით მოჩანდა  
უნივერსიტეტის შენობა და ყ-ფილი სემინარია... დღეს  
კი... თუმცა ჯერ კიდევ მოუწესრიგებელი მოსახლეობა...  
ახალი საცხოვრებელი ბინები... დავეგმილი ფართო ქუ-  
ჩები... ტრაფიკი... ელექტრობოძები... შიგადაშვი თავისუ-  
ფალი მინდვრები და გარშემო კი აგურხანები...

- სდექ!
- რაზმი შეჩერდა...

— მოველავარაკით აგურხანის დირექტორს ნება-  
რთვისათვის.

ხელმძღვანელმა გაიყვალა ორი რაზმელი და კანტო-  
რისკენ გასწია.

- მობრძანდით! — იყო ზრდილობიანი პასუხი.

თბილი სტუმარმიმღებობით რაზმი წათამამდა და  
ჩქარა ნეტყვასავით წაწვიდა შეკითხვები...

- ბესიკოს ეუცხოვა ქალაქის აგურხანა...
- მას, მარიალია, ემუშავნა მამის სააგურზე, მაგრამ

აქაური საშუაო პირობები და მოწყობილობა არ  
ეკაშნიკა...

— აი, აქედან იწყება აგურის დამზადების ისტო-  
რია, — დაიწყო აგურხანის დირექტორმა და პიონერრაზმს

გადახედა, — უპირველეს ყოვლისა წერაქვე მომუშავები  
არღვევენ ნიდაგს და თიხას ამზადებენ.

რაზმი სმენად ვადაიქცა...

ბესიკომც დაქუცა თვალები და დირექტორს სხვა-  
ზე უფრო მიუახლოვდა...

— როცა თიხის ზენებს დავამზადებთ, — განაგრძობს  
და ისევ დირექტორი, — მუშები, რომელნიც სპეციალ-  
რად თიხის გაცრახე მუშაობენ, სჭრიან თიხას, და მო-  
სახელად გამზადებული თიხა იზოლება ორმა ორმოვში...  
მოხელილი ტალახით ივსება აგურის ფორმებიანი ყუთები  
და ნედლი, უკვე გაფორმებული აგური იწყობა აი მი  
დერეფნებში გისაშრობად...

გამზარალი აგურები შეგავაქვს ქურაში, რომელსაც  
გომანის ღუმელი ეწოდება; ხურდება ღუმელი და რამ-  
დენიმე ღლის შემდეგ უფერული, უღონო აგურების ნა-  
ცნიად ღუმელიდან გამოგვაქვს შეწითლებული, ქვასაით  
მაგარი აგურები, რითაც შემდეგ ვაშენებ ჩვენს ფაბრი-  
კა-ქარხნებს და საცხოვრებელ სახლებს...

— კი, მაგრამ, როცა ცული ამინდებია, აგურს რო-  
გორ აშრობთ? — იკითხა მოუთმენლად ბესიკომ და მამის  
სააგურე მოიგონა, სადაც აგურის შრობის დროს მოსულ  
აედარზე ბესიკოს მამა სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა.

— ცული ამინდები, ცხადია, ხელს გვიშლის, — უპა-  
სუხა ბესიკოს აგურხანის დირექტორმა, — სწორედ ამიტომ  
არის, რომ ჩვენს მუშაობას სეზონური ხასიათი აქვს. ოქ-  
ტომბრიდან აპრილის თხუთმეტამდე ქარხანა დაღუბ-  
ბულია... ნედლი მასალის ანუ თიხის დამზადებას თუ  
ვაწარმოებთ, თორემ ქარხნის სხვა სააქრობები შეჩერე-  
ბულია... დერეფნები ჩვენ იმდენი არ გვაქვს, რომ სველი  
აგური დერეფნებში ვაშროთ, ამიტომ მთელი ჩვენი მუ-  
შაობა მზის სხივებზეა დამოკიდებული...



აგურხანის საერთო სახე



სახლიან სააგურე თიხას

— მაშ ქალაქშიაც არ არის მოწესრიგებული აგურის გაშრობის საქმე? — დაბალი ხმით იკითხა ბესიკომ.

— როგორც ხედავთ... ჩვენს ქარხნებში, მართალია, ბევრი მიღწევა გვაქვს სოფლის პირობებში აგურის დამზადების პირობებთან შედარებით, მაგრამ მთელი ჩვენი მუშაობა მაინც ზაფხულის თვეებით ამოიწურება... ამიტომ არის ხოლმე, რომ ჩვენი აგურხანები ვერ ასრულებენ ქალაქის დაკვეთას აგურების იწვოდების საქმეში... ჩვენი ქარხნები ზოგჯერ ნაკლები ხარისხის აგურსაც უშვებს ბაზარზე, მანკი სიკვამო პროცენტს შეადგენს, ასე რომ ჩვენს მუშაობაში ბევრი რამ არის გასაუმჯობესებელი. მაგრამ აგურხანების მუშაობა ძალიან მკიდროდ არის დამოკიდებული იმ დიდ მიღწევებსა და ამშენებლობასთან, რასაც თქვენ ხედავთ, პატარა ამხანაგებო, ჩვენი საბჭოთა კავშირის სინამდვილეში, თუნდაც ჩვენი ტფილისის აღმშენებლობაში...

ლირექტორმა ხელი გაიშვირა ახლად დასახლებულ ლენინის უბნისა და ვაყეს მიდამოებისაკენ, სიამაყით გადახედა ქალაქის სხვადასხვა კუთხეებში ახლადამართულ გიგანტ შენობებს და ღიმილით თავი დაბლა დახარა..

პიონერაზში აგურხანის ეზოში დაიფანტა. ბესიკო ლირექტორს აედევნა...

აგერ ლერდილივით გაცრილი თიხა შენიშნა ბესიკომ... ჩაიფიქრა... ვერ მოისაზრა, თუ აგურის წარმოებაში რა დანიშნულება ჰქონდა ასე სუფთად გაცრილ თიხას... ბესიკოს მამა არასოდეს ასე არ სცრიდა თიხას, ამიტომ...

— ძია! ეს გაცრილი თიხა რათ გინდათ?

— ეს საკრამიტე თიხაა. კრამიტი ხომ იცი, აი, სახურაეებად რომ ხმარობენ... კრამიტი მეტ გამძლეობას და სიფრთხილეს მოითხოვს, ამიტომ მას თიხის საუკეთესო მასალით ვამზადებთ... გაცრილი თიხა, სილაშერეული, თუ კარგად გამოიწევა, ცემენტით მაგარი გამოდის...

— კი, მაგრამ ახლა კრამიტს რომ აღარ ხმარობენ სახურაეად?

ლირექტორს გაეცინა. ბესიკოს სამართლიანი შენიშვნა მოეწონა.

— ეგ მართალია, მაგრამ ჩვენც ძალიან მცირე რაოდენობით ვამზადებთ კრამიტს. ხანდახან, იშვიათ შემთხვევაში, კრამიტსაც ხმარობენ ხოლმე სახურაეად და ჯერჯერობით ჩვენს აგურხანებს სწორედ ამიტომ არ აუღიათ ხელი კრამიტის დამზადებაზე.

პიონერაზში დაწრილებით გამოიკითხა აგურის დამზადების საკითხები.

— მილი რად არის ასე მაღალი? — მიუბრუნდა ბესიკო აგურხანის ლირექტორს...

— მილი? — ლირექტორს ეუცნაურა ასეთი შეკითხვა, მაგრამ ბესიკოს ცნობისმოყვარეობაში საკითხის სერიოზულობასაც მიაქცია ყურადღება და ხმაშემა განმარტა ბესიკოს შეკითხვა.

— მილი მაღალი იმიტომ არის, რომ ლუმელი, როგორც ხედავთ, ნახშირით თბება, ნახშირი უშვებს შხამიან გაზებს წვის პროცესში და რომ ეს შხამიანი გაზი მოსახლეობისთვის სრულიად უვნებელი შეიქნეს, მაღალი მილები ჰაერის ზეითა ფენებში ჰფანტავს მწვენ გაზს და ქარს გააქვს ის შორეულ სივრცეში. ნავთით ან შემოთაც რომ ინთებოდეს ლუმელი, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ინტერესები მაინც მოითხოვს, რომ ქალაქი დატულ იქნას ყოველგვარი კვამლისა და გაზებისგან. კვამლი რომ უვნებელი გახადონ, აი ამიტომ არის მოგონილი ეს გრძელი და მაღალი მილი.


პიონერაზში ლირექტორმა ალაყაფის კარება მდე მიავილა და ღიმილით გამოეთხოვა ცნობისმოყვარე ომეველ თობას,

— ნაბიჯით იარ! — კვლავ მოისმა ხელმძღვანელის განკარგულება, და რაშიმ მწყობრში ჩამწყრივებულნი აედევნა ქუჩის საერთო ხმაურობას.

3. ჩხიკვაძე.



სცრაიან სააგურე თიხას



**ჩვენი კოლექტივის ყოფა-ცხოვრება**  
(სურამი)

სურამის ცენტრალური ა. ლ. კ. ე. ინიციატორობით ჩამოყალიბდა 1929 წელს ებრაელთა ახალგაზრდობაში ფაბრიკისთვის სახელობის ნორჩ პიონერთა კოლექტივი, სადაც გაერთიანებულია 70 პიონერი. პირველ ხანებში მუშაობდა მოისუსტებდა. მაგრამ ხელმძღვანელთა აქტივობამ მუშაობა გამოაცოცხლა და მცირე ხნის განმავლობაში ჩამოყალიბდა რამდენიმე წრე: უღმერთოთა, სამხატვრო, მომღერალთა გუნდი, ჭრა-კერვის, მოწყობილია ოქტომბრის რევოლუციის ბელადთა კუთხე, გამოდის ორკვირეული კედლის გაზეთი „პიონერთა ხმა“. პიონერები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ყოველგვარ საქმეში: ნე-დღელულის შეგროვებაში, რისთვისაც მიეწყობა შაბათობა, ჩატარდა საბიბლიოთეკო ლაშქრობა და სხვ. კოლექტივი გადასულია მუშაობის ახალ სისტემაზე.

პიკორი ანდრო მამინაძე.

**პიონერები კოლექტივიზაციის ფრონტზე**

პარტიასთან და კომკავშირის ორგანიზაციასთან ერთად აქტიურად ჩაება ნ.პ. ორგანიზაციის კოლექტივიზაციაში და სას.-სამ. თვისის კამპანიაში. ამ მხრივ მისხაბი საქმიანობა გასწვია სიღნაღის (კახეთის ოლქი) ნ.პ. რაიორგანიზაციამ. რაიბურის ხელმძღვანელობით ქალაქის პიონერთა კოლექტივიებიდან 9 დამკვერულმა ბრიგადამ იმუშავეს სოფლად. პიონერთა ბრიგადებმა დაპყვეს 3-3 დღე სოფლად, სადაც ეწეოდნენ ახსნა-განმარტებას გლეხობაში სოფლის კოლექტივიზაციის შესახებ. პიონერთა ბრიგადებმა გლეხობაში გაავრცელეს უფსო პოპულარული ლიტერატურა, გამოსცეს 2-2 ნომერი კელგაზეთები გლეხობის და სოფ. პიონერთა ჩაბმით, ჩატარეს საღამო-წარმოდგენები. ჩატარებულ იქნა 3. კოლექტივებში საუბრები მთლიანი კოლექტივიზაციის) და უტილ-ნედლეულის შესახებ. ნ.პ. სიღნაღის კოლექტივებთან ჩამოყალიბდა ავროწრები. შეგროვილ იქნა თითოეული ბრიგადის მიერ 1 ტონა უტილ-ნედლეული. პიონერებმა ბრიგადები ეხმარებოდნენ კომუნა-კოლექტივებს აღწერა-აღრიცხვაში. ბრიგადებმა შეაგროვეს წყალ-ღობის ფონდის გაძლიერებისათვის 3-3 კაპიკი. ბრიგადებს თან ჰქონდათ სამუშაო გეგმები, რაიც გადა-მეტებით შეასრულეს.

მ. მარტელი.

**როგორ მუშაობს საჩხერის საბავშვო სახლის ნ.პ. კოლექტივი**

ფართოდ არის ვაშლილი ახალი ფორმები და მეთოდები, აგრეთვე დიდი ადგილი უჭირავს ვაშუ „ახალგაზრდა კომუნისტის“ და ჟურნალ „პიონერის“ გავრცელების საქმეს. კოლექტივი ავრცელებს 20 ცალ ჟურნალ „პიონერს“ და 100 ცალ „ახალგაზრდა კომუნისტს“. ეწყობა ექსკურსიები ღირსშესანიშნავ ადგილებში. კოლექტივმა უტილნედლეულის მოგროვებაში დიდი როლი ითამაშა. კოლექტივში უკვე მოგროვებელია 100 კილო უტილნედლეული. მთელი კოლექტივი კოლექტიურად წავიდა ქვრივი ქალის ყანაში და ქვები გადაუბოკა, მოეხმარა აგრეთვე დაბარვაში. ეს იმის მაჩვენებელია, რომ კოლექტივი დიდ დახარებას უწყვეს ქვრივ-ძლებს.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ კოლექტივი 1930 წლამდე არ ტარდებოდა ფიზკულტურა. ეს უნდა მივაწეროთ იმას, რომ საჩხერის რაიონში ფიზკულტურის ხელმძღვანელები არ მოიპოვებინა. მაგრამ როგორც იქნა 1930 წლის პირველი რიცხვებიდან გამოავიგვანენს ფიზკულტურის ერთი ხელმძღვანელი. დანარჩენ კოლექტივებში არა ჰყავთ ფიზკულტურის ხელმძღვანელები. საჭიროა ოლქში ურომ გამოავიგვანენს ფიზკულტურის მომზადებული ხელმძღვანელები.

ბავშვური იოსებ მაისურაძე.

**მესკურსია ტვილისში**

ერთი თვის წინად გორის რ.კ.გ.ს.კოლასთან არსებულ კრუსჰაიკის სახელობის კოლექტივმა მოაწყო ექსკურსია ტვილისში. ექსკურსიის მიზანი იყო ფაბრიკა-ქარხნების და მუზეუმების დათვალიერება.

ტილის ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც გორის საღვურზე პიონერები გულისფანქვლით ელოდნენ მამარებლის მოსვლას. აუწყებულია ის სიხარული, ის აღფრთოვანება, რომელიც პიონერების ცოცხალ სიტყვებში იხატებოდა.

მოვიდა მატარებელი. პიონერები ავიდნენ ორიონდაში. რამდენიმე წამის შემდეგ დაიბრა მატარებელიც. ჩავედით ტვილისში. დანიშნულ ადგილას მისვლის შემდეგ, ვაგებუზავრეო მუზეუმების დასათვალიერებლად. დაეთვალიერეთ: ზოლოზიერი მუზეუმი, საქართველოს სარევოლუციო მუზეუმი და სხვა.

დიდი ინტერესი გამოიწვია პიონერებში საქართველოს სრევოლუციო მუზეუმში.

პიონერების გულადნ არ წაიშლება იმ რევოლუციონერთა დამოღვაწეთა სახელი, რომელთაც მშრომელი ხალხის თავისუფლებისათვის უბრძოლიათ.

მეორე-მესამე დღეს დაეთვალიერეთ ფაბრიკა-ქარხნები, რომელთა შესახებ პიონერებმა პატარ-პატარა ლექსები და მოთხრობებიც კი დასწერეს.

აბრუნ აკოფივი.



გლეხებს გახეთს უკითხავენ

ქეთა ამხ. გრ. სვანიძემ. გარდა ამისა, ცალკეულ საკითხებზე, საგზაუბრო უსესის კამპანიაში პიონერების მონაწილეობის შესახებ და პრესის მდგომარეობის და კერძოდ ჟურნალ „პიონერის“ შესახებ ქუთაისში მოხსენება გააკეთა ამხ. ც. აბუიანიძემ. კონფერენციამ ორ დღეს გასტანა, სადაც გამოძღვანდა იმ მომენტებზე ფორმებით მუშაობა ჯ. რ. კიდევ ზოგიერთ კოლექტივებში, რომელსაც დღემდე მიმდინარეობდა. გარდა ამისა, გამოავარადა პიონერმუშაობის ყველა ნაკლი.

კონფერენციის მუშაობა მეტად ნაყოფიერი იყო. უნასანკნელად განაწილებულ იქნა ჯილდოები იმ კოლექტივებზე, რომლებმაც მეტი რაოდენობით გააგრძელეს ჟურნალი „პიონერი“ და დააგროვეს ყველაზე მეტი ძველმანი. კონფერენციის შემდეგ გაიხსნა პიონერკოლექტივების ხელმძღვანელთა მოსამზადებელი კურსები. გამოშვება მოხდა ა წ. 16 მარტს. კურსები დაასრულა სოფლიდან ჩამოსულმა პიონერკოლექტივის 26 ხელმძღვანელმა და ქალაქელმა 40 პიონერხელმძღვანელმა.

იუსტიე შეანგრიაძე.

### ბორჯომის უფვის ქარხნის კოლექტივი

ბორჯომის უფვის ქარხნის პიონერთა მუშაობა გამოკოცხლდა. ჩამოყალიბდა სხვადასხვა წრე: პოლიტიკური, ბავშვობა, სამხედრო, სამხატვრო, დრამატიული, მოცეკვავეთა, მოსიმიტერეთა და ძერწვის.

ჩვენმა კოლექტივმა დიდი როლი ითამაშა წერა-კითხვის უკოდინარობის მოსპობაში, რაც გამოინატება იმაში, რომ თითოეულმა პიონერმა იკისრა შეასწავლოს წერა-კითხვა წერა-კითხვის მოზრდილ უკოდინარებს.

ვაწყობთ საღამო-წარმოადგენებს, სადაც ესწრებიან პიონერთა მშობლებიც.

კოლექტივი სათანადო სიმაღლეზეა პოლიტიკურა კოდნის მხრით. მან კავშირი გააბა ცემის, წაღვივის და ძირულისნ. პიონერთა კოლექტივებთან, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეულდ ჰყავს ბორჯომის საკავსო ქარხნის ნ. პ. კოლექტივი, საყუდისი და საბავშვო სახლის ნ/პ. კოლექტივები: გარდა ამისა, ჩამოაყალიბდა სოფლად კოლექტივები და აიყვანა საშეფოდ სოფელი ზანავი (ბორჯომის თემში).

ფოტინე მაისურაძე.  
მიხეილ ცაყაშვილი

### ქუთაისის პიონერმუშაკთა სარაიოდნ კონფერენცია

27 თებერვალს გაიხსნა ქუთაისის ბ. კ. ო. პიონერ მუშაკთა პირველი სარაიოდნ კონფერენცია. დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ 1 საკითხზე—საქართველოს პიონერმუშაკთა შეკრების შედეგებზე—მოხსენება გააკეთა ამხ. გრ. სვანიძემ. გარდა ამისა, ცალკეულ საკითხებზე, საგზაუბრო უსესის კამპანიაში პიონერების მონაწილეობის შესახებ და პრესის მდგომარეობის და კერძოდ ჟურნალ „პიონერის“ შესახებ ქუთაისში მოხსენება გააკეთა ამხ. ც. აბუიანიძემ. კონფერენციამ ორ დღეს გასტანა, სადაც გამოძღვანდა იმ მომენტებზე ფორმებით მუშაობა ჯ. რ. კიდევ ზოგიერთ კოლექტივებში, რომელსაც დღემდე მიმდინარეობდა. გარდა ამისა, გამოავარადა პიონერმუშაობის ყველა ნაკლი.

### ხელმძღვანელობა არ გვიმარბა

სოფ. დერჩის (ლეჩხუმი) 7-წლიდთან არსებობს პიონერთა ორგანიზაცია, რომელშიაც ჩაბმულია 200-მდე პიონერი. უნდა ითქვას, რომ პიონერთა შორის მუშაობა წინსვლის მაგიერ უკან მიდის. კოლექტივის ძლიერ სუსტ ხელმძღვანელობას უწევს 7-წლიდთან არსებული კომკავშირის უჯრედი. მთელი წლის განმავლობაში კრება ერთხელაც არ მომხდარა. თითო პიონერმა გადაიხსნა თითო აბაზა, რომ დაგამოწერილიყო ჟურნალი „პიონერი“, მაგრამ დღემდე ჟურნალი არ არის გამოწერილი. არ ვიცით, რა უწევს ფული, რაში მოიხმარებს. კოლექტივებს არ ემჩნევა ახალ ფორმებზე და მეტოდებზე გადასვლა. კოლექტივში არიან ასაკუდასული პიონერები, მაგრამ კომკავშირში მათ გადარიცხვაზე არავინ ფიქრობს.

მოვითხოვთ მეტ ყურადღებას და ხელმძღვანელობას, რომ დაშლის გზაზე მდგომი კოლექტივის მუშაობა გამოკოცხლდეს.

პიონერი.

### გ ა მ ო წ ვ ე მ ე ა

ვიწერ ერთი წლით ჟურნალ „პიონერს“ და ვიწვევ შემდეგ ამზანაგებს კარლ ლიბენხტის სახ. კოლექტივიდან: თ. გოციოძეს, შ. ზურიაშვილს, ვ. ქრისტესაშვილს, ა. მარტირუხოვს, ლ. ნონიეს, მ. თთაროვს, ნ. კილაძეს, გ. გალუსტოვს, ლ. მოსესოვს, მ. გალუსტოვს; სიმონ ჯუღელის სახ. კოლექტივიდან: ე. ლეენიეს, ი. ალიგარაშვილს, ნ. ხატიაშვილს და ვ. იარალოვს.

გიორგი ბახუაშვილი.

# სახვარის გადასახვა

ა.

— რა ამბავია?—იკითხა მიხან გაკვირებით.  
 — რა და ლობეებს არღვევენ ჩვენი ბიჭები, ვინც კოლექტივში გავერთიანდით; მიუხედავად ჩვენი კლასიური მტრების სისინისა, ჩვენ მაინც განვაგრძობთ დაწყებულ საქმეს; გულს ვერაფერს ვაგვიცრუებს; ჩვენ ძალას ვერაფერს დავგვატანს უშუალოდ კოლექტივში შედიო, მაგრამ როცა ნებაყოფლობით ვერთდებით, ნებას არავის მივცემთ ხელი შეგვიშალოს!

მიუგო სანდრომ ღიმილით, რა ტრაქტორის მოაჯდა. რკინის ხარი აგუჯუნდა და მიწას შეუტრია...  
 მზე ავარეარებულ ცეცხლის ბურთივით გადმოეკიდა ცის კამარაზე...  
 ნელი ქარი იბერტყდა ფრთებს...  
 თოვს კალთები ადნებოდა...  
 ხეებს კვირტი ამოეყარა...  
 ტრაქტორი ბულრავედა მიწას, და ბელტი ბელტზე კირას გადადიოდა...  
 კოლექტივი გაერთიანებული გუთანი ზანტად იძროდა...  
 თესვა დაიწყო...  
 კოლექტიველთა ყიყინა სძრავდა არეს...  
 — ყველა კარგი, მაგრამ ამ ლობეებს რაღას ერიიან?— ფიქრობდა მიხან, რომელიც დერეფანში ჩამოჯდა კუნძზე და მკერდი მზეს მიუშვირა...  
 ჩიბებს მოუკიდა...

ბ.

— მიხან, აქ რად ზიხარ?!— შეეკითხა ვანო, სკოლიდან რომ დაბრუნდა.  
 — აიმახ ვუჭურებ, ვენახას ლობეებს რომ არღვევენ კოლექტივის ბიჭები,— მიუგო მიხან შეიღს ღიმილით.  
 — აბა რაა, მიხან, გაერთიანებულ ვენახებს შიგა და შიგ ლობეები რაღად უნდა? თუ კი მანდერებზე იშლება მიჯნა, ყორღნები, ვენახს რაღად უნდა?  
 — რას ამბობ, შვილო, რამდენჯერ იმ ჩვენი ვენახის შემოღობვაზე ძეგვით ხელები დამსხსლიანება, ტყეში წნელის მოჭრაზე მიწვალნია და ჩემივე ხელით დავარღვიო? კიდევ კარგი, რომ არ აყვევი მეც და არ შევედი კოლექტივში... კარგა გამაფრთხილა ნიკომ.  
 — დღეს თუ არა, მიხან, ხვალ შენ თვითონ მოითხოვ კოლექტივში შესვლას; ვინ ვაძალეზს? მაგრამ ნიკას რომ უყერი, იმ ბობოლას, შავსიელს, არ ვარგავ; ის ჩვენი წინსვლის მტერია და იმიტომ გიცრუებს გულს... აბა კარგი იმის აყოლა... რად უნდა ჩაიორჩე ახალ გზაზე შემდგარ სოფელს?.. აფერ გუშინაც დამკინენ ამხანაგებმა, რა პიონერი ხარ, რომ მიმას ვერ განუძარტე კოლექტივის მნიშვნელობა და გარეთ დარჩიო...  
 — ჰო, კარგია, მოდი... აბა ეს რა ასოა?— მიუაღერსა მიხან და წინი გადაშალა.  
 — ესა? „კ“—ესე იგი კოლექტივი... ეს კადევი...— დაუწყო ახსნა ვანომ.  
 — ანას სულ კოლექტივი ელანდება?!— გაიხუმრა მიხან და დაიწყო კითხვა.  
 — ჰო, ასე...



აზ. ხ. ჯუღელის სახელობის ქ. სიღნაღის ნ/მ კოლექტივის საბჭო

# სავაზაფხულო თისკა

ბ.

— ამისი არ იყოს, აბა რაღა დროს ჩემი სწავლაა?!— მიუგო მობამ, რა ვანომ უთხრა:

— ასე, მამა, სწავლა და სწავლა.

— ჰო, მაგრამ, რომელი „უჩიტელი“ შენა ხარ?!

— კი, მაგრამ, აბა ეს კალამი ასე დაიჭი, რომ ასოები კარგი გამოვიდეს... ის რა პიონერია, რომელს შინ წინა-კითხვის უკონინარი ჰყავს ვინმე და ისე დასტოვებს? როცა შეისწავლი წინა-კითხვას, იკითხავ ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს, შენ თვითონ მიხვდები ყველაფერს... აბა ახლა ასე დაწერე.. ასე დაიჭი; მამა, თორემ, ავერ შენი ნაწერი ბატის ნაფეხურს ჰყავს...

ვანო ხანდახან მაინც გაუტყავდა ხოლმე სიტყვას, სურდა მამის სიჯიუტე გაეტეხა, არ უნდოდა მათი ოჯახი ჩამორჩენილიყო სოფლის წინსვლას; მისი პატარა გული კოლექტივისკენ მიიწვედა და მიაქანებდა მამასაც; ისე მოუჭირდა ხოლმე მამას სიტყვას, რომ მიზა ველარაფერს ეუბნებოდა; ის გრძობდა, რომ შვილი მართალი იყო თითქოს, მაგრამ ძველ ადათზე აღზრდილს ვერ დაეთმო კერძო საკუთრება, მეურნეობა, მიუხედავად იმისა, რომ ხელდავდა ჩამორჩა კოლექტიურს, რომელსაც ყოველმხრივ ეხმარება მთავრობა; რატომღაც ვერ გაეწყვიტა კავშირი მამა-პაპურ გუთანთან, ისე იყო შეჩვეული გუთნისდება მისა...

— ლობის მორღვევა? ჰმ!..

ამას ხომ ვერ გააგონებდით...

— მერე და რამდენი ფიჩხი ტყე ნადგურდებოდა ლობებინათვის და ტყეს კი უნდა გაუფრთხილდეთ... ტყეა ყველაფრის - მომცემი: სანდოშენებლო მასალის, საწვავი შეშის, წყლის, გარეული ხილის; სადაც ტყე იკავება, იქ მდინარეები შრება, აღარც ქარის დამჭერია, არც სიციხის გამგრილებელი, ტყე კი ამისი ფარია; სადაც ისპობა, იქ ჩნდება ნიაღვარი, ზვავი, მეწყერი, ჰაობი, (იკება; ტყე ბუნებრივი მკურნალია, ჩვენი ჯანმრთელობის დამცველი, ჭეცხის სილამაზე; მას თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდეთ ..

შეზე, ავერ იმ ქედებს, ქაჩაიო ცაკივით რომ დასცენია თმები—ტყე... მაგრამ აბა ახლა ავერ აიშასაც შეხედე, კობტა ბიჭივით რომ აყრია თბა—ტყე...

ვანაგრძობდა ვანო აღტაცებით და ხელს უშვერდა ქედებისკენ.

დ.

— მერე და, შენ მასწავლი როდის რა და სად უნდა?!— მიუგო ლიმილით და ჩიბუხი ქალამნის ქვინტზე დაიბერტყა, როცა ვანომ უთხრა:

— მამა, მთელი სოფელი ზეიმობს, სავაზაფხულო თესვას შესდგომია, ტყეზე ზრუნავს, შენ კი რა დაგე-მართა?

— აღრეა, შვილო, ეს მიწა სად გაშქტყევა... მოსავალი მაინც მოვა...

— ვიან მოხვან-თესვით ცოტა მოვა და უხერო... ავერ, იმწინებზე რას ამბობდა აფრონომი! ყური უნდა უდლო... გუშინ ჩვენი მასწავლებელიც კი გვიხსნიდა... რაც აღრე დახნავ თურმე მიწას, ღრმად, შეიტან პატივს, მით უკეთესია; აღრე მოხნული მიწა ნესტს იმარაგებს, ლონიერია თვარო, თესლი უკეთ ღვივდება, მეტ მარაგს პოულობს წიაღში...

მზე აელვარებს ლევეარდს, მთებზე ჩამოდნა თოვლი, სავაზაფხულო თესვას ჰხედება პიონერთ რგოლი. მილიან მინდვრად ერთად, ეშველებიან გლეხებს, ჩქარა დასთესენ, ჩქარა გადაშავებულ ველებს. საცდელ ნაკეთზე უკვე ელავს თობი და ბარი, ისმის სოფელში მისულ ბრიგადის საუბარი.

ტრაქტორი არღვევს ყამირს, აღარა ხენეშის ლომა! სოფელს ახარებს მტკიცე კოლექტიური შრომა.

მზე აელვარებს ლევეარდს, მთებზე ჩამოდნა თოვლი, სავაზაფხულო თესვას ვინ არ შხვდება შრომით?!

ა. ბილანიშვილი.

აი, მოსელთან რომ ყრია ნაკელი, უკვე დროა გატანის. სხვა არა იყოს-რა, სოფლის სისუფთავეზე მაინცა საპირო ზრუნვა. ძველებურად ცხოვრება აღარ ვარგა, მამა, ახალი ყოფა-ცხოვრება უნდა შევქმნათ... დასეს ჩვენ შევადგინეთ პიონერთა ბრიგადა და უნდა უშველოთ ღარიბ გლეხებს პატივის გატანაში; ნახე, ხვალ ურემები რომ უნდა შევებათ; შენ კი აღარ გიუურებ...

— მერე და ვინ რას გუებნება! მაგრამ წყლს მინდა დაავსევრო ეს ჩვენი ნაფუზარი, თორემ გაძლიფტა და...

— ჯერ ერთი, მამა, ჩვენში ისედაც მიწის სიფი-წროვეა და შენ გინდა ესეც დაასვენო?! რაღა უნდა კან-მე? მეორეც ისა, რომ შემიდასო არჩია მიწის დასე-წნაზე... მას ეს კი არა, ვანოიერობა უნდა, სასტუქის შეტანა, გაუფოჯობესებული იარაღი, მანქანებით დამუშავება, მჭკრივზე თესვა ტრიერზე გადარჩეული და ფორმალნით ნაწამლი თესლის, რომ გულდაფშუტა და სარეველო ბალახულის თესლული მოისპოს... ავერ, მთავრობამ აკი დაურეგა ღარიბ გლეხებს წამლეული უფასოდ...

ის წითელი ბეღელი რომ დაევარსეთ, სათესლე თუ არა გაქვს, იქიდან მოგცემენ... მესამე და უმთავრესი, მამა, ისაა, რომ უნდა შემოირო თესლობარუნვა, როგორც ივარობნი ამბობს ხოლმე, და მასთან საპირო არ იქნება მიწის დასეწნება, რომელსაც არაფერს არ მატებს ეს წესი. თესლობარუნვა კი იმიტომბა საპირო, რომ ზოგე მცენარე მიწის ზედაფენაში უშვებს ფესვებს, იქიდან ამოაქვს საზრდო, როგორცია უშვს, სიმინდი, და მეორე წელსაც რომ იგვეც მცენარე დათესო, ცხადია, მან ისეც მიწის ზედაფენაში უნდა ეძიოს საზრდო, და ის კი წინა წელსვე გამოიფიტა; მიწის ქვედა ფენა კი ჯერ გამოუყენებელია, იქ საზრდო ხელუღებობია, და ისეთი მცენარე უნდა დაითესოს მეორე წელს, რომელიც ფესვებს ღრმად

უშვებს, მაგალითად, კარხალი, კარტოფილი და სხვა, რომელიც აგრეთვე გამოსადეგია საქონლის საკვებადაც..

საქონლზეც ისევე უნდა ვიზრუნოთ, როგორც ჩვენ თავზე; უნდა დაითესოს აგრეთვე საქონლის საკვები ბალახეული—სამყურა, იონჯა, სოია, ესპარტეტი და სხვა...

ახლა გამწვევ ძალად მანქანები რომ შეჩოდის, ჩვენ უკვე სამრეწველო საქონლის მოვლა-მოშენებას უნდა მივაქციოთ მეტი ყურადღება. კარგად რომ ვკვებით, მაშინ ასე ფერდობზეაქცეული, გამზრდები კი აღარ ილასასებენ. ამა შეხედე ჩვენ ლენინა ხარს და ნიკორა კამეჩს... კარგად ნაკვები საქონელი კი იძლევა გემრიელ და მსუქან ხორცს, რძეს, ტყავს, მატყლს ჩვენი მრეწველობისა და საფეიქრო საქმისთვის..

მიხა იჯდა, ილიმებოდა შვილის ჭკვიანურ მსჯელობაზე და ფიქრობდა:

— ჰაი დედასა, რას ნიშნავს სწავლა?! ახლა ეს ბაღი უნდა მჯობდეს? ძველ მთავრობასაც ასე რომ ეფიქრა ღარიბ გლეხთა შვილების განათლებაზე, როგორც ახლა, განა სიბეჩავეს ადრევე არ დაეაღწევდით თავს!

**მ.**

— რას შერებთ, კაცო, შენ რაღამ ვაგასულელა? რატიმ არღვევ ამ ლაბეს?!—შეუტია ცოლმა მიხას მეორ. დილას.

— ასე სჯობია... კმარა სიბნელე, შური, მტრობა...; ამ ლობის გამო, ვინ იცის, რამდენჯერ ვაგვიტეხია თავი მე და ქიტას ერთმანეთისთვის.

ჯერ არ დაეთავიბინა ეს სიტყვა მიხას, რომ ქიტამ ლობებზე ხელი გადმოაწოდა.



ბოსტანს რწყავენ

— მართალი ხარ, მიხა; რა გეკონდა მეზობლებს ვასაყოფი და სამტრო? ახლა კოლექტივში რომ შევედით ყველა და ვცხოვრობთ ძმურად, ამას რა სჯობია?!

და საუკუნეთა სიბნელე, მტრობა ირღვეოდა ლობესთან ერთად...

მიხა და ქიტა, რომელთაც ამ მტკაველა მიწაზე არა ერთხელ ამოუცილებოდათ ხანჯალი ქარქაშიდან, გადაეხვიენ ერთმანეთს...

— კეთილი იყოს, ქიტა, ჩვენი შერიგება...—დაატანა მარომ მორცხვად.

— ასე, მარო...

— აი, წაიკითხე და...—მიუგო მიხამ, როცა უბიდან ქალაქი ამოიღო, გაუწოდა და ქიტა შეიკითხა:

— ეგ რაა, მიხა?

— ნახე, და...

— როგორ, წერა-კითხვაც ისწავლე?!

— ამა რაა, კოლექტივში უსწავლელი ხომ არ შემივიდოდი?!

მიხას საკუთარი ხელით დაწერილი თხოვნა კოლექტივის გამგეობაში მოხვდა, წვერად მიღების შესახებ...

— ვინ შეგასწავლა წერა-კითხვა? ვინ გახვინა გზა?—შესცინა თავმჯდომარემ, ხელი რომ გაუწოდა.

— ვინა და...—მიხამ სინარულით გაიშვირა ხელი სკოლისკენ მიმავალ პატარა ბიჭზე.

— ვანომ?!

— ვაშა ჩვენს აქტიურ პიონერს!...—მოსწყდა მიხარულ კოლექტიველებს, ვანოს ხელი რომ დასტაცეს და აათამაშეს.

ილიმებოდა ვანო, მიხა, მარო, ქიტა, სოფელი, კოლექტივი, მთელი მიდამო, ილიმებოდა მრავალი სახე, მაგრამ უფრო კი—ახალ იმედებით გადალახულ საზღვარზე ანთებული მზე...



ლაშქრობა ლოთაობის წინააღმდეგ

სეზმან ერთმანდინდელი

## პირველი კომუნა

ქართული  
საბავშვო

მრავალი წლებიც ვერ დაჩრდილავს  
ამ მოგონებას,  
ეს გვეგონია, ტრალელია  
სი იყო გუშინ.  
ხვდებოდენ მზიანს და ნანატრელს  
დღის გათენებას,  
ცეცხლი ღროშებად აემართათ  
და ერთი გულში.  
და იმედებით სხივმოსილინი  
იწყებდენ ჰედვას  
საკაცობრიო და ნატვრული  
ახალ ცხოვრების...  
შეერთა ვერსალი, და ტიერი  
ბრძოლას ვერ ბედავს,—  
დიდი ქალაქი ხელში იყო  
კომუნარების.  
არ მოელოდა პარიზი ამ  
უცნაურ ამბებს:  
მანიფესტებით მოიფინა  
მისი ქუჩები.  
„უცნობი“ არის ეს მთავრობა,  
მას რომ განაგებს, —  
ღმერთი არა სწამთ და ყოფილან  
მეფის ურჩები...  
და ცოფიანებს ვერსალიდან  
გაეხსნათ გზები,  
ვით მზეს ღრუბლები, შემოერტყენ  
გარშემო პარიზს.

მონაპოვარსა არ დასთმობენ  
კომუნარები.  
ვინ არ გასწირავს თავს მთვანი  
და სისხლს არ დაღვრის.  
დაიწყო ბრძოლა... სასაკლავო  
ჰავადა ქალაქი,  
და მაშინ სენას ეძახოდენ  
წითელ მდინარეს.  
ქუჩები, სისხლით შეღებილი,  
იყო ნალაქი  
და ვერ იტევდა მებრძოლებს  
უთვალავ გვამებს.  
იყო ძახილი, თუმც ამაოდ:  
— **გაზა ხალხს, მეომრებს;  
დაპქრა საათმა! დე, ამხედრდეს  
პატიოსანი!**  
კომუნისათვის ბარიკადებს  
არგინ მოშორდეს!  
კომუნისათვის თავს სწირავდეს  
ხელკოჭრიანი.  
და მზე კომუნის დაიფარა  
შავი ღრუბლებით,  
სამოცდათორმეტ დღეს მზეობდა  
დედამიწაზე.  
დიღბანს ველოდით და ვილტოდით  
მისკენ ბრძოლებით,  
და ოქტომბერში კვლავ ეხილეთ  
კომუნა—ის მზე...  
სანდრო ეული.

## რეგელანის პირველი

დაღის გონა ქუჩა-ქუჩა,  
მოღის ოფლის ნაკადი.  
შორიდანვე მკერდზე უჩანს  
ყულაბა და პლაკატი.

გამზირებზე ფულს აგროვებს,  
სადაც ხალხი ირევა,  
და ატარებს ქუჩებშივე  
რემედისის კვირეულს.

ქუჩა-ქუჩა დაღს გონა,  
სადაც ფეხით მისწვდება.  
მოგამაგრებს მკერდზე ნიშანს,  
და ყულაბა იცხება.

ამ უბანს რომ დაამთავრებს,  
მიაშურებს სხვა უბანს,  
თან გაუბნევს ქინძისთავეებს,  
თან მოჰყვება საუბარს:

— „წითელ ნიშანს მოგამაგრებთ,  
დამიცადეთ ამხანაღ.  
დაეხბარეთ, მოქალაქეგ,  
უცხოეთის ამხანაგს.

სადაც დღემდე ბატონობენ  
სიმდიდრე და „ღირსება“,  
და მუშებით —პატიმრებით—  
ციხეები ივსება.

ხან ქარხნიდან აძვეებენ  
უფულოდ და უბინოდ,  
ზოგნი ბრძოლას აგრძელებენ,  
ანდა როგორ უთმინონ.

დაპიცადეთ, გამკლავებო,  
მოგამაგროთ ნიშნები,  
კვიგონეთ ჩაჯოფლები,  
ვიელას ამას გიჩრედიო.

ასე უბანს დაამთავრებს,  
მიაშურებს სხვა უბანს,  
თან გაუბნევს ქინძისთავეებს,  
თან აგრძელებს საუბარს.

შორიდანვე წითლად მოჩანს  
ყულაბა და პლაკატი,  
ქუჩა-ქუჩა დაღის გონა,  
მოღის ოფლის ნაკადი.

ი. აბაშიძე.

# როგორ უნდა ვიხსოვროთ სოციალისტურ კალაქში

საქართველოს  
საბჭოთა რევოლუციის

## ბავშვა სექტორი.

**მეძღროდ დავეკავშირდეთ მოზადილებს**

საზოგადოებრივი აღზრდა არ უნდა იყოს „სკოლის ქალიშვილების“ ხელში, როგორც ამას იტყობა ხოლმე ილიჩი, ვინაიდან ისინი განზე დგანან პედაგოგების მქუხარე ბრძოლისა და ცხოვრებისაგან, არამედ ეს თვით მშრომელთა საქმეა. როცა ვლადიმერ ილიას ძე ეცებოდა საბჭოთა სკოლას, ის ტყუილ-უბრალოდ როდი ამბობდა, რომ ეს სკოლა „მონობის ჯაჭვებისაგან განთავისუფლებულ ხალხთან“ ერთად უნდა მიდიოდეს სოციალიზმის გზით.

ყოველთვის, ამ 12 წლის განმავლობაში, ჩვენ ვამბობდით, რომ სკოლა, საბავშვო სახლი, ან საბავშვო დაწესებულება არ უნდა იყოს ცხოვრებისაგან მოწყვეტილი. ჩვენ ვცდილობდით სასკოლო პროგრამა შეგვედგინა ისე, რომ რაც შეიძლებოდა უფრო მეძღროდ დავეკავშირებინა ის ცხოვრებასთან. პარტიის პროგრამაში ლაპარაკია სახალხო განათლების საბჭოების შესახებ. სასკოლო საბჭოებისა და სახალხო განათლების სექციების საშუალებით ჩვენ გვინდა ჩავაბათ მუშები და მშრომელი ქალები, ძირითადად გლეხური და კოლმეურნეობათა მისა ბავშვა აღზრდის საქმეში. ჩვენ გვიჩიერენ მოხარდები გავაგზავნოთ საბავშვო ქალაქებში.

ასე ესობათ ზოგადი საზოგადოებრივი აღზრდა რევოლუციის დასაწყისში. ჩვენ ბევრი მწარე გაცვეთილი გვაქვს საბავშვო სახლების ცხოვრებიდან, იმ მხრივ, რომ ხშირად უხვევდენ ხოლმე სწორი გზიდან და კარჩაკეტილი სასწავლებლების მდკოპარობაში ვარდებოდენ. ჩვენ ვიცით, საით მივყავდით ამ გარემოებას.

ჩვენ უნდა ვეცადოთ შეექმნათ ბავშვა საზოგადოებრივი აღზრდის ისეთი ფორმებიც, რომლებიც არ ჩამოაშორებს ბავშვებს მუშებისა და კოლმეურნეობათა გავლენას, არ ჩამოაშორებს მათ მშობლებს, მაგრამ ამავე დრო უნდა შევძლოთ ახლანდელი აღზრდის სიმახინჯეთა თავიდან აცილება.

საბინაო საიჯარო კოოპერატიული სახლებთან ჩვენ ვიასრებთ ბავშვა თითხებს. ეს არის მცირედი ნაწილი იმისა, რაც უნდა გაეცოდეს. იმ სახლებში კი, რომლებიც უნდა აშენდეს, ჩვენ უნდა მოვაწყუთ არა ბავშვა ოთახები, არამედ ბავშვა სართულები, ან ბავშვა სექტორები. სახლის ყველაზე უფეთესი ნაწილი, ყველაზე უფრო სინათლიანი, რომელიც მუზეგამოიღის თავისი იერანდით, ბავშვებისათვის უნდა იქნეს განათვისუფლებული. ბავშვა სექტორი, ან სახლის საბავშვო ნაწილი საქირთა აშენებულ იქნეს განსაკუთრებული მოთვარებით, იმ მიზნით, რომ მოწყვოს: ბავები, საბავშვო ბალი, ოთახი მოწყვებისათვის, სადაც მათ შევძლებათ მეცადინეობა, კითხვა, ხატვა, სიმღერა, სირბილი, თამაშობა, ხელსაქმიანობა, განტის სიტყვით, ყულო-ფერი ის, რაც მათ სურთ, სათანადო ხელმძღვანელობის ქვეშ. აუცილებლად საქირთა აქ მშობლების მარჩოვება. საქირთა თავისებულ დროს ბავშვთა თანდათანობით ბავშვა საერთო საცხოვრებლად უნდა გადაიქცეს, მშობლები კი, რომელთა თვალწინ იწარმოებს მათი ბავშვების აღზრდა, შეიწყალოან ამ აღზრდის მეთოდებს.

საბავშვო სექტორი, ბავშვა საერთო საცხოვრებელი, სადაც ბავშვები მიადებენ სათანადო კვებას და აღზრდას, თანდათანობით გაათავისუფლებს დედებს. ამრიგად ქალი განიტყობება ბავშვებ მუდმივი მზრუნველობისაგან და დაწყარება სულ სხვა, ახალი დამოკიდებულება ბავშვებთანა და მშობლებს შორის.


### არა თავშესაფარი, არამედ საერთო საცხოვრებელი.

ცხადია, საქირთა ბავშვა საერთო საცხოვრებელი პატარა სახლებშიც; ბევრთა სოფლიდან ქალაქად სასწავლებლებს ჩამოიული ბავშვი. არიან ისეთებიც, რომლებიც მხოლოდ მაშა ჰყავთ ცოცხალი, ან ქერივი დღდა მიჰყვება მუროე ქმარს, — ასეთი ბავშვებისთვისაც საქირთა საერთო საცხოვრებელი. არა საბავშვო სახლი, არა თავშესაფარი, არამედ საერთო საცხოვრებელი. დღეს სოფლიდან ჩამოსული ბავშვები დიდის ტანჯვით მოულოდენ ოთახს, ქირაობენ მოსამსახურეს და ცხოვრობენ, როგორც მოხერხებულნი. საქირთა აღმოეჭინით მათ დახმარება, რომ უყუთ მოეწყონ.

ყველაფერი ეს უნდა იქნეს გათვალისწინებული ახალი ქალაქის აშენების დროს.

ბავშვა საქირთა საცხოვრებელთან ერთად საქირთა ავაშენით სკოლებიც, როგორ? სრულიად დამუშავებული და დასაბოთებული სკოლების გეგმა ჩვენ ჯერჯერობით არა გვაქვს, მაგრამ საქირთა ამ გეგმის დაუყოვნებელი შედგენა და ყოველმხრივად განხილვა. საქირთა სკოლები დაეფუძოვით წარბოვებებს, დაწესებულებებს, საქირთა ამავე დროს თვით სკოლებთანაც ვეკოხობით სახელსწრები, ყველაფერი ეს კარგად უნდა იქნეს განხილული. დღეს, როცა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის ძირეულად გადახალისება საუკეთესო ნიადაგს უქნის პოლიტექნიკურ სკოლებს, საქირთა განსაკუთრებული დაკვირვებით იქნეს დამუშავებული ახალი სკოლების აშენების გეგმები. არ შეიძლება სკოლების შენება მარტო თიორიული ცოდნის მისაღებ გეგმასთან შეფარდებით.

ახლად დაწყებულ სახლებში საქირთა ბავშვა სექტორებისა და ახალი სკოლების აშენება. საქირთა ახალი სამოსელი ჩავაცით ახალ ყოფასა და ახალ სკოლას. ძველ სამოსელში ის უყვე აღარ იტყება.



ტრაქტორის არემონტებენ

# შირვან-ზადე

საქართველოს  
ბუნებისმეტყველების  
ინსტიტუტი



შირვან-ზადე

ამა წლის თებერვლის განმავლობაში ამიერკავკასიის სამპოთა ფედერაციის რესპუბლიკებმა—აზერბაიჯანმა, სომხეთმა და საქართველომ—იდეისაწყოლეს ცნობილი მწერლის შირვან-ზადეს მიმართული მოღვაწეობის 50 წლის თავი. ამ იდეისაწყოლეს სრული ინტერნაციონალური ხასიათი ჰქონდა. ამ იუბილემ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარი ერთა სოლიდარობა — ცოცხალი,

რეალური ფაქტია. ის გულწრფელი და აღერსიანი შეხედრა, რომელიც გაუმართეს აზერბაიჯანის და საქართველოს მშრომელმა მასებმა შირვან-ზადეს, მოწმობს, რომ ამიერკავკასიის პროლეტარიატი ჯეროვანად აფესებს ყველა იმ კულტურულ ღირებულებას, რომელიც ხელს უწყობს და იხმარება პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას და აღმშენებლობას. ასეთ კულტურულ ღირებულებას წარმოადგენს შირვან-ზადეს შემოქმედება.

შირვან-ზადე (ალექსანდრე მოვისიანი) დაიბადა ქალაქ შემახანში, 1858 წ., თერძის ოჯახში. თითხმეტ

წლისა იყო შირვან-ზადე, როცა მისი მშობლები გადასახლდნენ ქალაქ ბაქოში. აქ შირვან-ზადემ დაიწყო მუშაობა სხვადასხვა დაწესებულებაში, სწავლა მიიღო ან პროვინციის სკოლაში და ცდილობდა ნაკლი შეეცნო თვითვანვითარების საშუალებით. ხელს უწყობდა მას ის გარემოება, რომ ბაქოს სამკითხველო-წიგნისაცემი მუშაობდა. აქ გაცნო პირველად რუსეთის და ევროპის მწერლებს. ბაკომ, შემდგომ კი ტფლისში, აუარებელი მისალა მისკამის შემოქმედებას. მისი პირველი მოთხრობა „ხანძარი ნავთის ქარხანაში“ გაზეთ „მშაქში“ დაიბეჭდა 1880 წელს. შირვან-ზადემ ფართოდ გამოიყენა ბაქოს ცხოვრება კაპიტალიზმის განვითარების ხანაში. მისი ყურადღება მიიპყრო კაპიტალისტურმა საზოგადოებამ, ბურჟუაზიულმა ყოფა-ცხოვრებამ და ფსიხოლოგიამ. მსხვილ და წვრილ ნაწარმოებში მან გადაგვიშალა კაპიტალიზმის გაერტყელება ამიერკავკასიაში და მისი ფარყოფითი მხარეები.

მან აგვიწერა სოფლის ცხოვრებასთან ერთად („ხანძარი“, „ხნეილი“) ქალაქის ცხოვრებაც („ქაოსი“, „მობხლის უბის წიგნაკიდან“, „პატიოსნებისთვის“ და სხვა); აქ შირვან-ზადემ ყურადღება მიექცია კაპიტალის ექსპლოატაციას, ბურჟუაზიულ „ოქროს ტრფილს“. მან ნიჭიერად აგვიწერა ბურჟუაზიული ოჯახი, დედაცამის მღვარეობა, ცოლ-ქმრობის საკითხი („ევენი“, „ხანგრევეზე“ „რომელია დედა“ და სხვა).

შირვან-ზადეს, როგორც წარსული ეპოქის მწერალს, დღესაც დიდი ადგორე უჭირავს სომხურ ლიტერატურაში. მის ნაწერებს დღესაც დიდი ინტერესით კითხულობენ

## გავშუპვიხ ივრკომდენ პარვიხის ბარვიპადეზა

ჩვენ გიამბობთ იმთ გმირობაზე, რომლებიც ვიცით,—მაგრამ რამდენია, რომელითა შესახებ ცნობები არ მოგვევოვება. ბევრი, ძალიან ბევრი.

**ტიებო,** 14 წლის მოზარდა, ტყვიების წვიმაში დარბოდა და უხიდავად წყალს სენ უნდ მოედნის დამცველბს. შრაპნელბა აიძულა კომუნარები უქან დაეხიათ და მსხვერპლად მიეტანათ ერთი კასრი ღვინო, რაც მათ ბატალიონის ეკუთვნოდა. მაგრამ ტიებომ ვაავადებინა ძირი კასრის და დაიბაძა „ისინი ვერ დალევენ ჩვენ ღვინოს“. ხელი სტყა მან თოხს, გასტენა და მოჰყლა ენადმითა ოფიცერი, ხლო შემდეგ გადაარჩინა ბატალიონის ფურგონი.

**ზარლ ბედერატერ,** 15 წლის ბიჭი, შევიდა არტილერიისტად „მავსელიუხს“ მე 7 ბატარეაში. 10 დღე და დაე არ დაუტოვებია ჰოხიკია და ყოველი მისი ვასროლა ნოშანში ხედებოდა. 18 აპრილს მელიში ყუშბარის ნატები მოიხდა ფეხში და მოავლოჯა. ის დაეცა ძახილით: „გაუშარჯოს რესპუბლიკას!“

ახალდაბრბობამ პარიზის კომუნის დროს დაარსა ახალგაზრდათა მეოპარი რახშები „მსროლელები პენშო“ იყვნენ 15 წლის ასაკის ბავშვები. 16 მაისს მათ გადაწყვიტეს მოეწყობთ გაბედული გამოსვლა. ისინი ფარულად გამოვიდნ და გადაწყვიტეს ბულონის ტყეში წასვლა. ნახევიარი საათის შემდეგ დაბრუნდენ შეიარაღებულბები: იარაღი წარათვის კანდარმებს.

გაღოჯეკემენ, რომ 13 წლის ბავში ევენ ვახვიერ, რომელიც ეკუთვნოდა „მსროლელებს პენშო“, სამახსურს განავრძობდა, მიუხედავად მძიმე კრილობისა.

21 და 22 მაისს, რამდენიმე დღით ადრე, ვიდრე ევრსალელები დაიქერდენ პარიზის უქანსენელ ქუჩას, შეიარაღებული იყო ახალგაზრდობის მებრძოლი კორპუსი. მათ ეძახდენ „კომუნის ბავშვები“ — 14-15 წლის ასაკის ასეული მოზარდები. მუშების ბავშვები, დამშულები და ბნელ სარდაფებში მცხოვრებნი, მონაწილეობას იღებდენ შატო ლიეს მოედანზე ბარკადების აგებაში და ხელს უწყობდენ მის ბრძოლასწარინარობას; ორი იცავდა ბარკადას, მხოლოდ ისინი.

ერთმა „კომუნის ბავშვანამა“ დაუწყო ლანძღვა ვეწსალელეს მამის დახერტისათვის... და დაეცა ევრსალელის ტყვიით მოკლული.

**ლოტეი,** 15 წლის ყრმა, გაიჭრა ტყვიის წვიმაში და კომუნარებს მოუტანა ბარკადასთან მოკლული ლეიტენანტის ქუდი.

ვინ მოსთვლის, რამდენი ბავში, მუშის შვილი, დეცა კომუნისათვის ბრძოლაში, მაგრამ მათ შესახებ ცნობები არ მოგვევოვება. რაც ჩამოვთვალეთ, ისიც საქმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ 1871 წელს კომუნისათვის, პროლეტარიატის დქტატურისათვის მუშებთან და მუშაქალებთან ერთად იბრძოდენ მათი 13-14 წლის შვილებიც იარაღით ხელში მტარავალებს (ევრსალელებს) წინააღმდეგ.

აი, როგორ შეიძლო ბრძოლა და სიკვდილი პარიზის მოზარდთაბს 1871 წლის კომუნის დროს.

პიონერი ვალიკო

# საჩხაპლი

ქართული  
ხალხური

მატარებელი ქმენით ჩამოვდა სადგურზე. ასტულა ხმელი, და მატარებელი მსწრაფლ ხალხით აიგის.

— ამ ვაგონში ავიდეთ, — ეუბნება ხანში შესული მასწავლებელი ბავშვებს.

— მობრძანებით — და რევიზორი ქალი წინ გაუძღვია. ბავშვები მსწრაფლ ავიდნენ, უკან ჩამორჩა მხოლოდ ორი-ვეფხეფაგაღვლი 15 წლის ბიჭი ბორისი. ყველა მოეწყო. ესენი საბავშვო სახლის მოწაფეებია.

— მით, როგორც სუსტებს, საქეიმო მკურნალობა სპირიტებით და დასასვენებლად წაღვერში ვგზავნით, — ეუბნება მასწავლებელი რევიზორს.

— კეთილი, მე თვალყურს ვადევნებ — და რევიზორმა გზა განაგრძო.

— ასე, ბავშვობა, კოტეს, ნინოს და გივის აბასთუმანში გავგზავნით, ხოლო დანარჩენებს კოჯორს ვავისტუმრებთ და ერთი კვირის შემდეგ თქვენთან მოვალ; ბორის, სადგურიდან ავტობუსით იმგზავრეთ, — გვლარ დათავა მასწავლებელმა, რადან მატარებლის წასვლის ნიშანი იყო და მალე კიდევ დაიძრა. მან მსწრაფლ დაისტოვა მტკერში და ბოლში გახვეული ქალაქი და მწვანე ველებს შეერია.

— ბორის, გვიამბე რამე, — სთხოვა მიტომ.

— გვიამბე, გვიამბე, დაიწყე ყველაზე პატარამ და ყველასათვის საყვარელმა მერომ; აი იმაზე, პატარა ბიჭ ჯამე კუბანზე, — აღარ იშლიდა მერი.

ბორისმა თავისი განსუტყეული ჯოხები გვერდზე მიასწყო და თანჯარაში გადაიტედა.

— ოღნავ ასხოდე პატარა მიშკას მათი ცივ ტაიგაში ცხოვრება, — დაიწყო ბორისმა.

— რას ჰყვები, ბორის? — შეეკითხა მიტომ.

— ჯერ დათავაო და შემდეგ გეტყვით, ანდა შეიძლება თვითონ მიხვდეთ, — მიუყო ბორისმა.

— ასხოგა მიშკას, რომ მამა ომში წაიყვანეს, დედა და მიშკა კი ქალაქში გადასახლდნენ. ბევრი წანწორის შემდეგ მიშკას დედამ ცირკში დამლაგებლის აღაწვი იზოვნა. ხშირად დასდევდა მიშკას დედას სამსახურში და თვალგებაფაცვიტებული უტყქროდა მფრინავ კაცებს, მოვარჯიშე და მოჯირითე ქალებს, უტყქროდა და მოსწონდა. როცა ხალხი ტაშს უყრავდა რომელიმე მოჯირითეს, აუბედა და თამაშს ამორგობინებდა, მიშკა უნდოდა მათთვის წაებანა და ხშირად ვარჯიშობდა.

— ბორის, განა მიშკას დედას არ შეეძლო ბავში სასწავლებელში მიებარებინა და არ გაეცდინა?

— მიტომ, შენ რას ეტახი ვაცდენას? — წამოიძახა ანდრომ.

— ცირკი მძულს, იქ თამაში საშინელი ხოლობაა და იქ მყოფებს ყველას ვაცდენილად ველო.

— დაიცადეთ, — გააწყვეტინა ბორისმა, — დედას მართლა უნდოდა მიშკა სასწავლებელში მიეცა, მაგრამ აღარ დასცალდა.

— მაგრამ, ბორის, განა მიშკას დედა მოუყვდა? წამოიძახა მეორემ.

— არა, არ მომკვდარა. ცირკის მწვრთნელმა შეამჩნია, რომ მიშკა ვარჯიშობდა, გულდასმით გასინჯა ის, დედამის დიდხანს ელაპარაკა... და მიშკა გახდა ცირკის წევრი. პირველად მიშკასთვის სასიამოვნო იყო ცირკში,

მაგრამ მალე მოსწყენდა და შეტულდა. მალე თოჯზე სიარული და ცხენზე ჯირითი დააწყებინეს.

— მეშინია, ამას ვერ გავაკეთებ, — ხშირად ისმოდა მიშკას წუწუნთ.

— პატარა გველო! — დასტყვილებდა მწვრთნელი ადლოვით, — ჩქარა დაიწყე.

სხვა მოვარჯიშეები კი უღარდლად განაგრძობდნენ თავის საქმეს და ვერც კი აშჩნევდნენ მიშკას ცრემლებს. ერთხელ, როცა მიშკა ჩვეულებრივ ტიროდა, დედა-მისი ცოტებით და ვედრით ხელში უკანა კარიბდა შემოვიდა და გაშტერდა. მისი საყვარელი ბიჭიკო ტიროდა და მწვრთნელი კი მითრახით თავზე დასდგომოდა.

— დამზადეთ ბილეთები, ბილეთები დამზადეთ, — გაისმა ხმა და გამოჩნდა რევიზორი ქალი, რომელსაც წინ კონდუქტორი მოჰყვოდა.

ბორისი რევიზორს შეაჩერდა. — წაღვერამდე ექვსი, არა? — შეეკითხა ის და ბავშვებს გადახედა, ბილეთები უკან გადასცა და გზა განაგომო.

— მეგრე, ბორის, მეგრე? — და ბავშვებმა უფრო ახლო მიიწიეს.

— მე არ ვიცი, სად მინახავს ის ქალი. ის რუსია, მგონი, — წაილაპარაკა ბორისმა.

— ბორის, განაგრძე, — გააწყვეტინა ფიქრი ანდრომ.

— თქვენ გენცვალებთ, ბატონო ადლოვ, მე არ მინდა ჩემი ბავში აქ ასე დიტიანჯოს, დამიბრუნეთ, — ებეწებოდა მიშკას დედა.

შეუბრალებული იყო ადლოვი, მის სრულიადიკა შეებრალა ატირებელი დედა-შვილი და ისინი მხოლოდ დამკინაფი ლიმილით დააჯილდოვა.

— უჰ, რა ცუდი კაცი ყოფილა! — წამოიძახა მეორემ — გეკი კუბანი რომ იპოვნა, ის კაცი უფრო კეთილი იყო და კარგად უვლიდა მას.

— მერი, — შეუტია მიტომ, — შენ სულ მეტი ლაპარაკი გიყვარს.

— რა გინდა, მიტომ, მე კინო მიყვარს და კუბანი რაკი კარგად თამაშობს, მეც იმიტომ ვიგონებ ასე ხშირად.

— დაიწყე, ბორის, — ბრძანების კილოთი სთქვა ანდრომ.

მერიმ წაიფურტუნა, ბავშვებს სიცილი აუტყლია.

— გავიდა რამდენიმე ხანი. ცირკი აიბარვა. ახლა სხვა ქალაქებში წასასვლელად დამზადდა.

მიშკას დედა კიდევ ერთხელ შეეხვეწა მწვრთნელს, რომ მის მიშკა უკან მიეცა და ან ისიკ თან წაეყვინათ.

— მიშკამ ცირკში იმდენი რამისწავლა, რომ ის მალე დაიწყებს გამოსვლას. მისი დამბრუნება აღარ შეიძლება, — უპასუხა მწვრთნელმა.

— თქვენ წამოსვლაზე კი გამგეს მოელაპარაკეთ. საწყალმა მიშკას დედამ ვამგვსთანაც უარი მიიღო. ბევრი იტირეს დედა-შვილმა განწორებისას, მაგრამ მათი შემბრალებული ცირკში არავინ აღმოჩნდა.

(გაგრძელება იქნება)

# არ ზემოქალით ძველ პედაგოგებს მომავალი თაობის ისე აღზრდა, როგორც საპიროსა

კავშირები  
საქართველოში

დღეს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოთა სკოლებს, რომ წვენი მომავალი თაობა ისე აღზარდონ, როგორც წვენ ხელისუფლებას სჭირდება. ამის გზა უნდა გაეუწიოთ კონტროლი საბჭოთა სკოლების პედაგოგებს, თუ როგორ ამზადებენ ისინი მომავალ თაობას, პიონერებს, ოქტომბრელებს. იქნება ჩვენს სკოლაში მოაპოვება მანერა პედაგოგები, იქნება პრაქტიკულ საკითხებს ამზინებენ, და აი სწორედ ამისთვის არის საჭირო კონტროლის გაწევა, რომ ძველმა პედაგოგებმა არ დაამახინჯონ საკითხები, არ დაიწყონ ძველი წესების გამოყენება. ძველმა პედაგოგებმა იქნებ ვერ შეითვისეს ახალი წესები და ისე ვერ აღზარდონ ჩვენი მომავალი თაობა, პიონერები, როგორც დღეს ხელისუფლებას სჭირდება. ამა გავუწიოთ კონტროლი სიღნაღის 10 წლედის მასწავლებლებს, რომ გადავხედოთ, დავინახათ ბევრ უმსგავსობას. ახლავე აღვნიშნავთ. ამა დავიწყობთ.

ავილით 10-წლედის მასწავლებელი ბენო შირიანი-შვილი. იგი ძველი მასწავლებელია, დღეს უკვე მოხუცებულია, სმენამოკლებული. იგი ვერ შეგუდება ახალ ცხოვრებას, მან ჯერ კიდევ არ იცის, თუ დღეს მომავალი თაობა როგორ უნდა აღზარდოს მასწავ. ბენოს ძველი დრო ჰგონია, მოწუხებს ისე ექცევა, როგორც ძველად. ბენო ყვირის, უწმინდური სიტყვებით უმასპინძლებს ბავშვებს: შე პირუტყვი, პოტენტოტი, ვლ ურო, ჯიბგრო და სხვა. თუ მოწაფეს გაკვეთილის გადმოცემის დროს უბრალო რაიმე შესცდვა; თვითონ იცის, რასაც უხამს. მან მალ-მალე იცის მოწაფის უბრალო რამეც დასჯა, მაგალითად: უკან მიხედვის გამო, დიმილის და სხვა ასეთების გამო. პიონერი, მომავალი თაობა, როგორ უნდა აღზარდოს, თუ იგი ასე მოიქცევა. ავილით მეორე მასწავლებელი ნიკოლოზ ჩერემისხილი. ნიკოლოზი ძველი რეჟიმის კაცია, ნააფიცრალი, რომელიც თავს იხრჩობს ლვინო-არაყში. არ არის ისეთი დღე, ისეთი საათი, რომ იგი მთვრალი არ იყოს. მას ყოველ წამს თან ახლავს თავისი ერთგუ-

ლი ძმა და პირის ზიარება—ლანძღვა-ვინება; მის ისე აქვს ავტორიტეტი გატეხილი, რომ მის გაკვეთილზე არცერთი ამზანავი არ ესწრება. თუ არ ვცდები, მგონი გაზეთშიაც იყო გამოქვეყნებული, მაგრამ მასზე არაფერმა არ იმოქმედა. იმედია, ამა სათანადო ორგანოები მიიღებენ მხედველობაში და ზომებს მიიღებენ.

ამავე მასწავლებელში არის მარიამ ოთაროვი, რომელიც რუსული ენის მასწავლებელია. მარიამმა ქართული სრულიად არ იცის. მოწაფე რომ ქართულად დაელოპარაკოს მეორე მოწაფეს, მაგალითად, ქალი ვაჟს, ის ამბობს: „არსიყობთ“ და სხვ.

პირველი ჯგუფის მასწავლებლად არის ვინმე თამარა ზაიდაშვილი. მან არ იცის, თუ როგორ უნდა აღზარდოს პაწაწინა ბავშვები, ოქტომბრელები; ბავშვებს ისეთ გაკვეთილებს აძლევს, რომელიც პირველ ჯგუფს არ შეეფერება. მათ არ ესმით არაფერი და ამის გამო არაფერს არ აკეთებენ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თამარა ზაიდაშვილი აცდენს გაკვეთილებს ტყვილ-უბრალოდ და ხან რას მიმართავს, ხან რას, რომ თავი გამოართლოს, თუ რისთვის არ იყო სკოლაში, რის, გამოც ბავშვებს გული უტრუვდებათ სწავლაში.

გადავხედოთ ახლა სოხუმურ შეიღწკლებს. აქაც დავინახავთ სიმანხვჯეს.

აქ მასწავლებლადია ამაიანი ასია, რომელმაც არ იცის, თუ რომელ ჯგუფში რა პროგრამა უნდა შესწავლოს. მაგალითად, მეშვიდე ჯგუფს ანატომიის მაგიერ ფსიქოლოგიას ასწავლის. მასთან ერთად ისეთ საუბრებს უმართავს მოწაფეებს, პიონერებს, რომელიც მათ ასაკს და ჯგუფს არ შეეფერება, მაგალითად: სქესობრივ საქმეში რაზე. განა შეიძლება პიონერებთან ასეთი საკითხების დასმა? მოუხდარო, როდესაც ბავშვი მანქანის საშუალებით გაკეთდება“.

საპიროსა ამას ყურადღება მიექცეს.

გიორგი.



### გავაუმჯობესოთ გავშოთ კვება

გავ. „პრადას“ ინიციატივით ხდება ამჟამად სრულიად საკავშირო საზოგადოებრივი კვების საკითხის დაველიერება.

ამ დათვლიერებაში პიონერებმაც უნდა მიიღონ ქტიური მონაწილეობა; უპირველეს ყოვლისა, ყველაზე ქტიური პიონერები უნდა იქნან შეყვანილი დათვლიერების საზოგადოებრივ კომიტეტებში, ამასთანავე უნდა იქნას მათი რიგი პიონერული დამკრეული ბრიგადები სასადილოებსა, სამზარეულოებსა, სკოლის ბუფეტებსა და საზოგადოებრივი კვების სხვა ადგილებზე თავდასხმებისათვის. ცხადია, რომ ამ ბრიგადებში პიონერებმა უნდა აიბან სამუშაოდ მოწაფეები და აქტიური ბავშვები ეუკავშირებულ ბავშვთა რიგებიდან.

ჩატარებულ მუშაობათა საფუძველზე და აღმოჩენილ კატეგორიებზე, თუ როგორ არის მოწყობილი ბავშვთა კვების აქტი, საჭიროა პიონერორგანიზაციების მთელი რიგი მოხიზვნებით და დაეაღებით გამოსვლა; ასეთ მოთხოვნად ეიძლება ჩაითვალოს:

მიღწეულ იქნას საზოგადოებრივი კვების საქმის აფართოება სკოლებში, მოედნებზე, საბავშვო ბაღებში და სხვაგან.

გაუმჯობესდეს და მაქსიმალურად გაიფუდეს ბავშვთა კვება.

გაიხსნას საბავშვო საღებო სასადილოები. შექმნილ იქნას საბავშვო საღებო მაგიდები საერთო სასადილოებში და დაწესებულ იქნას განსაკუთრებული საათები ბავშვთათვის.

მიღწეულ იქნას ბავშვთა საღებოებზე ფასების დაკლება.

გადიდებულ იქნას საკვები სახსრები საბავშვო საღებოსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში. შეიკრებულ იქნას ყოველ მუშათა რაიონში (ჭიათურა და სხვა) საბავშვო მისაღები წაგნაკები.

დაწესებულ იქნას საზოგადოებრივი კონტროლი კვების ხარისხსა და ხარჯზე.

მოეწყოს ს.სკოლო ბოსტნები ცხელი საუზმეებისათვის.

მოგვარდეს ბავშვთა საზოგადოებრივი კვების საკითხი კოლმეურნობებში.

დაახლოვებით ასეთი წესით უნდა მოვიკიდოთ ხელი ბავშვთა საზოგადოებრივი კვების მოგვარების საკითხს.

საზოგადოებრივი დათვლიერება ამ მუშაობის პირველი რგოლია.

მ. კოლიუხი

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია.